იდეური იარაღი — საბრძოლო მზადყოფნაში!

საბჭოთა ადამიანების დიად ლაშქრობას კომუნიზმისაკენ ყოველდღიურად გზას უნათებს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე იდეების შუქი. და რომ ეს გზა იყოს უფრო ნათელი და კაშკაშა, პარტია სულ უფრო და უფრო აწრთობს თავის იდეურ იარაღს, ასწავლის კომუნიზმის მშენებელ ხალხს, თუ როგორ უფრო სწორად, როგორ უფრო სწრაფად იაროს სანუკვარი მომავლისაკენ.

ამ რამდენიმე დღის წინ მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა, რომლის გადაწყვეტილებები უდიდეს როლს შეასრულებენ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში ხაზგასმულია: „თანამედროვე პირობებში პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი ამოცანა ის არის, რომ იდეოლოგიურად უზრუნველყოს სკკპ პროგრამის განხორციელება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება, ახალი ადამიანის აღზრდა; გააძლიეროს პოლიტიკური სიფხიზლე, გაშლილი ფრონტით შეუტიოს იმპერიალისტურ იდეოლოგიას, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთებს“.

აი რა არის ახლა თვითეული პარტიული ორგანიზაციის, იდეოლოგიური ფრონტის თვითეული მუშაკის საბრძოლო პროგრამა.

ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებშიც მოცემულია მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დარგში პარტიის მუშაობის ძირითადი მიმართულებები და კონკრეტული ამოცანები.

რესპუბლიკაში უკვე ფართოდ გაჩაღდა მუშაობა იმისათვის, რომ პლენუმის დადგენილებანი დავიყვანოთ ყველა მშრომელის გულამდე და გონებამდე. ამ საქმეს ემსახურება ათასობით აგიტატორი და ლექტორი, იდეოლოგიური ფრონტის მრავალრიცხოვანი არმია. პლენუმის მასალების ღრმად შესწავლა დიდად დაეხმარება თვითეულ ორგანიზაციას, თვითეულ მუშაკს, იპოვოს თავისი ნამდვილი, საპატიო ადგილი კომუნისტურ მშენებლობაში, სწრაფად აუღოს ალღო მოვლენებს, გამოაწრთოს სიფხიზლე.

მაგრამ პლენუმის მასალების შესწავლა ეს საქმის ერთი მხარეა. მთავარი კი ის არის, რომ ყოველდღიურად ჩვენს პრაქტიკულ მოღვაწეობაში საქმით ვახორციელებდეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თვითეულ მუხლს. პლენუმზე აღინიშნა, რომ ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ერთერთ მთავარ ნაკლს ჯერ კიდევ წარმოადგენს ზოგან თეორიის მოწყვეტა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკიდან. ჩვენი აგიტატორები და პროპაგანდისტები ყოველთვის და ყველგან როდი ითვალისწინებენ მსმენელთა ასაკობრივ თავისებურებებს, მათ პროფესიას, განათლებას და სხვ. სწორედ აქ იჩენს თავს ფორმალიზმი, სწრაფვა იმისაკენ, რომ იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ღონისძიებების, საუბრების მოწყობის რაოდენობით. საჭიროა ასეთი ფაქტები სასწრაფოდ და ყველგან აღიკვეთოს.

პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა მოღვაწეობა იმის მიხედვით შეფასდება, თუ თვითეული მშრომელი, მშრომელთა თვითეული კოლექტივი როგორ იბრძვის პრაქტიკულად პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის. აი საქმის თავი და თავი.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში“! ამ ლოზუნგით ახლა იბრძვიან და შრომობენ ქალაქისა და სოფლის მშრომელები. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებიდან, მშენებლობებიდან, საკოლმეურნეო მინდვრებიდან მოდის სასიხარულო ცნობები სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულების შესახებ. ეს არის მშრომელთა ცალკეული კოლექტივების, რიგითი ადამიანების პატრიოტული პასუხი პლენუმის გადაწყვეტილებებზე, ეს არის მშრომელთა შეგნებულობის ზრდის პრაქტიკული გამოხატულება.

საჭიროა პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა ორგანიზაციებმა მთელი თავიანთი ყურადღება წარმართონ მშრომელთა შეგნებულობის განუხრელი ამაღლებისაკენ, ადამიანთა იდეური წრთობისაკენ, რაც საბოლოო ანგარიშში გადამწყვეტ როლს შეასრულებს კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

პლენუმმა პარტიის, სახელმწიფო ორგანოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და ყველა სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მთავარი ყურადღება გაამახვილა იდეოლოგიური მუშაობის შემდეგ ძირითად მიმართულებებზე, რომლებიც შეესაბამება სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობისა და საერთაშორისო ასპარეზზე კლასობრივი ბრძოლის თანამედროვე ეტაპს:

„მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება; წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრა საბჭოთა ადამიანების შეგნებასა და ყოფაქცევაში;

კომუნიზმის აქტიური და შეგნებული მშენებლების შრომითი აღზრდა;

ხალხის განათლებულობისა და კულტურის ამაღლება;

ხალხის აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით; გადამჭრელი ბრძოლა ანტიკომუნიზმის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა ფორმის წინააღმდეგ“.

პარტიის ამ მითითებათა ცხოვრებაში წარმატებით გატარებისათვის არ უნდა დავზოგოთ არც ძალები და არც დრო. ჩვენს რესპუბლიკაში ასი ათასამდე აგიტატორია, 20 ათასზე მეტი ლექტორი და პროპაგანდისტი, 12 ათასზე მეტი მეცნიერი, იდეოლოგიური ფრონტის ათასობით მუშაკი. გვყავს უმაღლესი და საშუალო განათლების სპეციალისტთა უზარმაზარი არმია. ყველა ისინი პლენუმის მასალებში იპოვნიან ჭეშმარიტად ნათელ და კონკრეტულ მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ გავაუმჯობესოთ იდეოლოგიური, აღმზრდელობითი მუშაობა მშრომელთა შორის, როგორ ავწიოთ იგი უფრო მაღალ დონეზე.

„ვფიქრობ, რომ პლენუმის გადაწყვეტილებანი დიდ როლს შეასრულებენ პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. — განაცხადა პლენუმზე თავის სიტყვაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. — იდეოლოგიური იარაღი ყოველთვის ბრწყინვალე მდგომარეობაში უნდა იყოს, ყოველთვის მზად უნდა იყოს. ამ იარაღით უნდა გავანადგუროთ მტერი, რომელიც ცდილობს ძირგამომთხრელი მუშაობა აწარმოოს. ჩვენი ხალხი მჭიდროდ არის შეკავშირებული თავისი კომუნისტური პარტიის გარშემო. საბჭოთა ადამიანები პარტიის ხელმძღვანელობით, პარტიის დროშით ახალ გამარჯვებებს, ახალ საგმირო საქმეებს მიაღწევენ“.

ხალხის შემოქმედებითი აქტივობა არის უდიდესი წყარო, რომელსაც შესწევს უნარი წარმატებით ააშენოს კომუნიზმი. ხოლო რაც უფრო მაღალია მასების შეგნება, მით უფრო დიდია მათი აქტივობაც. რა უნდა იყოს უფრო საპატიო და პასუხსაგები ამოცანა, ვიდრე მასების რევოლუციური სულის განვითარება, ცხოვრების ყველა უბანზე მათი შემოქმედებითი აქტივობის ამაღლება.

პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები მოვალენი არიან უფრო გონივრულად გამოიყენონ იდეოლოგიური და აღმზრდელობითი მუშაობის მდიდარი ფორმები და მეთოდები, გახადონ მთელი საქმიანობა უფრო ცოცხალი და მიზანსწრაფული, გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადონ ყოველგვარ დახავსებულობასა და რუტინას, ობივატელურ გულგრილობას, ბურჟუაზიულ იდეოლოგიასა და მორალს.

ამას მოითხოვს კომუნიზმის მშენებლობის ამოცანა, ახალი ადამიანის აღზრდის საპატიო ამოცანა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 153 (12665)
კვირა, 30 ივნისი, 1963 წ.
ფასი 2 კაპ.

მარცვლეული — სახელმწიფოს!

დახვავდა მიწის ბარაქა

ხანგრძლივი, განუწყვეტელი წვიმების შემდეგ კარგი ამინდები დადგა. მცხუნვარე მზემ ოქროსფრად აალივლივა პურეულის ნათესები. გამსხვილდა, გამაგრდა მარცვალი.

ბოლნისის რაიონში მასობრივად გაჩაღდა მარცვლეულის აღება და მისი სახელმწიფოსათვის ჩაბარება.

...პურეულის მარნეულის ბაზაში ავტომანქანების რიგი დგას. მწონავები ვეღარ აუდიან მარცვლის მიღებას. სამი დამტვირთავი ტრანსპორტიორი განუწყვეტლივ მუშაობს, მანქანებიდან მარცვლეული პირდაპირ საწყობში შეაქვს.

მექანიზმებს მეთვალყურეობას უწევენ ბრიგადირი ა. ჰუსეინოვი, მტვირთავები და მექანიკოსები ნ. ბაირამოვი, ნ. ოვჩარენკო, ბ. მამედოვი, ა. ალახვერდი. აქვეა მარნეულის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გ. ქათამაძე, ბოლნისის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ვ. სანიკიძე და რაიონის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. ისინი პრაქტიკულ დახმარებას უწევენ მშრომელებს მოსავლის უდანაკლისოდ აღებაში.

მარნეულის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ პირველმა დაიწყო რაიონში პურეულის აღება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება. 3.100 ტონა მარცვლეული სახელმწიფოს! — ასეთია ამ მეურნეობის უპირველესი ამოცანა.

— ჩვენ კარგად მოვემზადეთ მოსავლის აღებისათვის, — გვეუბნება მეურნეობის დირექტორი გ. ქათამაძე. — დროულად შევაკეთეთ კომბაინები, სათიბავ-ამღები მანქანები, დავაკომპლექტეთ ბრიგადები, გავასწორეთ გზები, წესრიგში მოვიყვანეთ საწყობები, დამატებით შევიძინეთ სამი დამტვირთავი ტრანსპორტიორი.

ამ ღონისძიებამ თავისი შედეგი გამოიღო. აქ უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ მოსავლის აღებას 10-12 დღეში დაამთავრებენ. თვითეულ ჰექტარზე ლეწავენ 15-20 ცენტნერ მარცვალს.

დილის 6 საათზე იწყებენ მკას კომბაინერები ბ. უმბატოვი და გ. უსტაფაევი. საღამოს გვიან შეწყვიტეს მუშაობა, და როცა იანგარიშეს მუშაობის შედეგი, გამოირკვა, რომ თვითეულმა ჰექტარზე აიღო და გალეწა 18 ცენტნერი მარცვალი. ეს კარგი მაჩვენებელია.

პურეულის მარნეულის ბაზის მეორე საწყობშიც დიდი ფუსფუსია. აქ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად მოაქვთ მარცვალი შაუმიანისა და ყულარის საბჭოთა მეურნეობებს. ხდება მისი საბოლოო გაწმენდა და კონდიციამდე აყვანა.

— წელს ჩვენი რაიონის მშრომელები დიდი ამოცანების წინაშე დგანან, — გვეუბნება პარტიული კომიტეტის მდივანი ვლადიმერ სანიკიძე. — სახელმწიფოს უნდა ჩავაბაროთ 20 ათასი ტონა მარცვალი. ეს გეგმით. ვალდებულება კი 30 ათას ტონას ითვალისწინებს. ეს პირობა ყოველ მიზეზგარეშე შესრულდება.

მარტო გუშინ სახელმწიფოს ბეღელში ათას ტონაზე მეტი მარცვლეული მიიტანეს.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მეგობრობა, ერთობა

ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია ბერლინელ ჩარხმშენებლებს

ბერლინი, 29 ივნისი. საკდესის კორესპონდენტები ვ. სელივერსტოვი და ე. ბაშმაჩნიკოვი იუწყებიან:

მარცანის (ბერლინის გარეუბანი) ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშებს დიდი სასიხარულო დღე დაუდგათ: დღეს მათ ეწვია ნ. ს. ხრუშჩოვი.

ამ სახალხო საწარმოს კოლექტივი ინიციატორია სოციალისტური შეჯიბრებისა, რომელიც უკანასკნელ თვეებში გაიშალა მთელ რესპუბლიკაში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. ულბრიხტის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად.

ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად ქარხანაში იყვნენ ვ. ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. შტოფი და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ფერნერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ე. აპელი და გ. მიტაგი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ა. აბრასიმოვი და გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი არმიის გენერალი ი. ი. იაკუბოვსკი.

ქარხნის ეზოში შეკრებილმა მუშებმა საბჭოთა მთავრობის მეთაურს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. ახალგაზრდა მუშა ქალებმა მას მიართვეს ყვავილთა თაიგულები. გაისმის მქუხარე ტაში, მისასალმებელი შეძახილები: „ფროინდშაფტ-მეგობრობა!“, „ვაშა ამხანაგ ხრუშჩოვს!“, „გაუმარჯოს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“.

სტუმრები შევიდნენ ქარხნის სამმართველოს შენობაში, სადაც საწარმოს დირექტორმა ვ. ცაიტელმა უამბო მათ, თუ რა საწარმოო წარმატებებს აღწევს კოლექტივი. უკვე წლის პირველ ნახევარში პროდუქციის გამოშვება აქ გაიზარდა 22 პროცენტით გასულ წელთან შედარებით. ათვისებულია ახალი სრულყოფილი ჩარხების — ავტომატების წარმოება. ქარხნის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი იგზავნება საბჭოთა კავშირში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, აგრეთვე მთელ რიგ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფის, შრომის ახალი მეთოდების გამოყენებისა და საბჭოთა გამოცდილების დანერგვის შედეგად წლის პირველ ნახევარში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 14 პროცენტით შარშანდელთან შედარებით.

დიდ ამოცანებს ისახავს კოლექტივი უახლოესი დროისათვის. 1965 წლისათვის წარმოების მოცულობა ერთიორად და მეტად გადიდდება 1962 წელთან შედარებით. შრომის ნაყოფიერება ერთნახევარჯერ გაიზრდება. მუშათა შრომით ენთუზიაზმს, იმას, რომ მათ სურთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალიზმის მშენებლობაში, მოწმობს ის ფაქტი, რომ ახლა საწარმოში სოციალისტური შრომის 64 ბრიგადა და ნოვატორი კოლექტივია.

ნ. ს. ხრუშჩოვი და ვ. ულბრიხტი იყვნენ ქარხნის საამქროებში, გაეცნენ წარმოების პროცესს, გამოშვებულ პროდუქციას.

ქარხნის დათვალიერების დროს ბევრი მუშა მივიდა ნ. ს. ხრუშჩოვთან, მეგობრულად მიესალმა მას, მიართვა ყვავილები, საბჭოთა ხალხს მიულოცა ბრწყინვალე წარმატებანი კოსმოსის ათვისებაში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა უძღვნა მუშებს გულთბილი სიტყვებისათვის, უსურვა შემდგომი წარმატებანი მუშაობაში, აჩუქა ნიშნები, რომლებზეც გამოსახულია ვ. ი. ლენინი. მუშებთან საუბრებში მან თქვა, რომ საჭიროა წარმოების სტანდარტიზაცია და სპეციალიზაცია, პროდუქციის გამოშვების გადიდება, ურჩია ახალგაზრდებს მუყაითად ისწავლონ, რათა იყვნენ სოციალიზმის კარგი მშენებლები.

საწარმოს დათვალიერების შემდეგ გაიმართა მიტინგი.

მიტინგი ჩარხსაშენებელ ქარხანაში

ბერლინი, 29 ივნისი. საკდესის კორესპონდენტები ვ. სელივერსტოვი და ე. ბაშმაჩნიკოვი იუწყებიან:

ჩარხსაშენებელი ქარხნის დათვალიერების შემდეგ მოეწყო მასობრივი მიტინგი. მუშებმა მქუხარე ოვაცია გამართეს. როცა ტრიბუნაზე ნ. ს. ხრუშჩოვი და ვ. ულბრიხტი ავიდნენ. მაღალ თაღებს ქვეშ გაისმის მძლავრი „ვაშა!“.

მიტინგი გახსნა ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანმა ე. კნოხმა, რომელიც საწარმოს მთელი კოლექტივის სახელით მხურვალედ მიესალმა ნ. ს. ხრუშჩოვსა და ვ. ულბრიხტს. მან ილაპარაკა მუშათა შრომით ენთუზიაზმზე, იმაზე, რომ მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უფრო მეტი და უკეთ იმუშაონ თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ქარხნის მუშის გ. შლიხტის მხურვალე მისასალმებელი სიტყვების შემდეგ გამოვიდა ვ. ულბრიხტი.

მან ილაპარაკა იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელებს აქვთ დასახული სოციალიზმის მშენებლობაში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარების გზებზე, იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების თანამშრომლობას.

— ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს და ვუსახავთ დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასს, მთელ გერმანელ ხალხს ნათელი მომავლის გზას, — თქვა ორატორმა.

ვ. ულბრიხტმა გაიხსენა ის სიძნელეები, რომლებსაც გერმანელი მშრომელები წააწყდნენ პირველ წლებში ფაშიზმისაგან განთავისუფლების შემდეგ, ის, რა წარმატებანი [illegible] მოიპოვეს მათ სახალხო ხელისუფლების წლებში. ვამაყობთ წარმატებებით, თქვა ვ. ულბრიხტმა.

ჩვენ კარგი ტექნიკური ტრადიციები გვაქვს, ხაზგასმით [illegible] ნიშნა ვ. ულბრიხტმა, და ისინი უნდა განვავითაროთ. ყველა მშრომელის მეცადინეობა უნდა მოვახმაროთ შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდებას, ეს ხელს შეუწყობს მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეს.

დასასრულ ვ. ულბრიხტმა აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა ძმური სოლიდარობით ეკიდება გმირ საბჭოთა ხალხს, სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომ საჭიროა მთელი გერმანელი მუშათა კლასის, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების შეკავშირება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მიკროფონთან მიდის ნ. ს. ხრუშჩოვი. კვლავ იქუხა ოვაციამ, გაისმა მისასალმებელი შეძახილები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიულოცა ქარხნის კოლექტივს შესანიშნავი მიღწევები, ახალი წარმატებანი უსურვა ყველას. [illegible] დიდი მადლობა, რომ ასე კარგად შეგვხვდით ჩვენ, საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს, თქვა მან. მოხარული ვართ, რომ ასეთ დიდ შედეგებს მიაღწიეთ თქვენი შრომით.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ილაპარაკა სოციალისტური წყობის უპირატესობებზე, რომლის პირობებში მუშათა კლასი, მშრომელი მუშაობს არა კაპიტალისტებისათვის, არამედ თავისთვის, მთელი ხალხის საკეთილდღეოდ.

კარგად რომ იცხოვრო, თქვა მან, კარგად უნდა იმუშაო, ისე უნდა მოაწყო საწარმოო პროცესი, რომ მაღალ [illegible] ლებს მიაღწიო. მთავარია შრომის ნაყოფიერების [illegible], პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება.

თქვენ ნახეთ კინოფილმი „რუსული სასწაული“, [illegible] ნ. ს. ხრუშჩოვმა. კარგი სურათია. იგი ასახავს ჩვენი ქვეყნის განვითარების გზას. კაპიტალისტები ხომ გაჰყვიროდნენ, საბჭოთა ხელისუფლებას მალე მოეღება ბოლოო, ჩვენ არა მარტო არ დავიღუპეთ, არამედ ისე განვავითარეთ ეკონომიკა, მეცნიერება და ტექნიკა, რომ ახლა ხომალდებს ვუშვებთ კოსმოსში.

საბჭოთა მთავრობის მეთაური შეეხო საბჭოთა ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებს, იმ ამოცანებს, რომლებიც სკკპ XXII ყრილობამ დასახა სსრ კავშირში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის საქმეში.

მაგრამ გამარჯვება თავისთავად როდი მოვა, [illegible] აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა. იგი უნდა მოვიპოვოთ [illegible] კლასისა და ყველა მშრომელის ორგანიზებულობით, შეგნებულობის მაღალი დონით, კარგი ხელმძღვანელობით, ბეჯითი შრომით. ეს არის სოციალიზმისა და კომუნიზმის ერთადერთი გზა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა შემდეგ, თუ რა როლს ასრულებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მთელი გერმანელი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში, რომ საჭიროა ყველა სოციალისტური ქვეყნის ღონისძიებათა გაერთიანება საერთო მიზნის მიღწევისათვის — სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის.

თავისი სიტყვის დასასრულს ნ. ს. ხრუშჩოვმა გამარჯვება უსურვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასს, გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ვ. ულბრიხტის მეთაურობით, საბჭოთა და გერმანელი ხალხების მეგობრობას.

მიტინგის დასასრულს იმღერეს რევოლუციური სიმღერა „მედგრად, ამხანაგებო!“.

ქალთა მსოფლიო კონგრესის მიმართვა

ყველა ქვეყნის, ყველა კონტინენტის ქალებო, დედებო, ძვირფასო დებო, ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენ, ქალთა მსოფლიო კონგრესის მონაწილენი, მოვმართავთ ყველას.

ჩვენ, 110 ქვეყნის ასეულ მილიონობით ქალის წარმომადგენლები, ჩამოვედით მოსკოვში დედამიწის ყველა კუთხიდან: ევროპიდან, აზიიდან, აფრიკიდან, ავსტრალიიდან, ამერიკის კონტინენტის ყველა ქვეყნიდან, რათა ერთმანეთისათვის გაგვეზიარებინა ჩვენი გამოცდილება, ჩვენი შიში და ჩვენი იმედები და ერთად გამოგვერკვია, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ჩვენს შეშფოთებას და განხორციელდეს ჩვენი იმედები.

ჩვენ გვაერთიანებს საერთო მისწრაფება დედამიწის ყველა ხალხის მტკიცე მშვიდობისადმი, თუმცა ჩვენი ქვეყნები განვითარების სხვადასხვა დონეზეა, თუმცა ჩვენ სხვადასხვა სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური მრწამსის ადამიანები ვართ.

ჩვენ ერთსულოვნად ვისწრაფვით მოვუპოვოთ მუშა ქალებს, გლეხ ქალებს, დიასახლისებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს ღირსეული და სამართლიანი ადგილი საზოგადოებასა და ოჯახში, უფლებათა და მოვალეობათა თანასწორობა, რაც საშუალებას მოგვცემს სრულად განვავითაროთ ნიჭი, მონაწილეობა მივიღოთ კაცობრიობის პროგრესის ყველა დარგში. მილიონობით ქალმა უკვე მოიპოვა ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური უფლებანი და იბრძვის მათი განმტკიცებისა და გაფართოებისათვის. მილიონობით ქალი მონაწილეობს ახალი საზოგადოების აშენებაში მამაკაცებთან სრული თანასწორობის საფუძველზე.

ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის გმირობა ბრწყინვალედ ადასტურებს, რომ ჩვენი ოცნება შეიძლება სინამდვილედ გადაიქცეს.

ჩვენ ერთსულოვნად და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ბედნიერება მოვუპოვოთ ჩვენს ბავშვებს, დედამიწის ყველა ბავშვს შევუქმნათ ჯანსაღი, ბედნიერი, ნაყოფიერი ცხოვრება.

ქალი მსოფლიოს ყველა ბავშვის დედაა. ვერ შევურიგდებით იმას, რომ მეცნიერული და სოციალური პროგრესის საუკუნეში, რომელშიც ვცხოვრობთ, მილიონობით ბავშვს წართმეული აქვს სიხარული, შიმშილობს, უწიგნურია, უწევენ ექსპლოატაციას, დაბეჩავებულია, მოელის უდროოდ სიკვდილი.

არ შეგვიძლია შევურიგდეთ რასებსა და ხალხებს შორის მტრობისა და სიძულვილის პროპაგანდას, იმას, რომ რეაქციისა და ომის ძალებს აქვთ შესაძლებლობა მოწამლონ ახალგაზრდობის გონება და გახრწნან მისი სული.

ყველა ქვეყნისა და ყველა კონტინენტის ქალებო!

მოგიწოდებთ დაუცხრომლად იბრძოლოთ, არ შეუშინდეთ სიძნელეებსა და მსხვერპლს, იმისათვის, რომ მოვიპოვოთ და დავიცვათ ქალთა უფლებანი ყველა დარგში — შრომის, ჯანმრთელობის დაცვის, დასვენების, კულტურის უფლებანი, ეკონომიური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებანი, რომ შევქმნათ ჩვენს ქვეყნებში და მთელ დედამიწაზე თითოეული ოჯახის ბედნიერი ცხოვრების საჭირო პირობები, რომლებიც საშუალებას იძლევა აღვზარდოთ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის, სოციალური პროგრესის, ჰუმანიზმის დიადი იდეალებით შთაგონებული ბავშვების თაობები.

ბედნიერებისადმი ამ კანონიერი მისწრაფების განხორციელებისათვის საჭიროა მშვიდობა და ხალხთა შორის მეგობრობა.

ძვირფასო დებო, მთელი დედამიწის ძვირფასო მეგობრებო!

შეშფოთებული ვართ იმ მზარდი საფრთხის გამო, რომელსაც გამალებული შეიარაღება ქმნის. ამას შეიძლება მოჰყვეს თერმობირთვული კატასტროფა, რომელიც მთელ კაცობრიობას მოუტანს უაღრესად სერიოზულ შედეგებს.

კოლოსალური რესურსები იყრება უფსკრულში, შთანთქავს ნგრევისა და მოსპობის საშუალებათა წარმოება.

ჩვენ შეგნებული გვაქვს პასუხისმგებლობა ჩვენი ბავშვების მომავლისა და მშვიდობის ბედისათვის და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი სულ უფრო მეტი წვლილი შევიტანოთ ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ გვსურს მონაწილეობა მივიღოთ მტკიცე მშვიდობის დამყარებაში. გვსურს შევქმნათ მტკიცე მშვიდობა. ჩვენ არ გვინდა ომი, და დარწმუნებული ვართ, რომ სახელმწიფოთა კონფლიქტები შეიძლება გადაიჭრას მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით.

გვსურს ვიმუშაოთ იმისათვის, რომ დავამყაროთ მთელ მსოფლიოში სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა ურთიერთპატივისცემის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, თავდაუსხმელობის, ჩაურევლობის, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. ჩვენ გვინდა მივაღწიოთ საყოველთაო, სრულ და მტკიცე კონტროლს დაქვემდებარებულ განიარაღებას, უწინარეს ყოვლისა თერმობირთვულ განიარაღებას.

მოგიწოდებთ:

იბრძოლეთ ჩვენთან ერთად შეუსვენებლად და სულმოუთქმელად, რომ მივაღწიოთ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას, უატომო ზონების შექმნას, სამხედრო ბაზების ლიკვიდაციასა და უცხოეთის ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანას;

მხარი დაუჭირეთ მოღვაწეებს, ორგანიზაციებს, მთავრობებს, ყველა იმათ გამოსვლებს, ვინც ამ მიმართულებით მოქმედებს;

გაზარდეთ მშვიდობისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, განიარაღებისათვის ქალთა გამოსვლების რიცხვი.

განიარაღება მშვიდობისმოყვარე ადამიანთა ერთ-ერთი უდიდესი გამარჯვება იქნება. იგი ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობის დამყარებას, შექმნის ხალხთა ნამდვილი თანასწორობის პირობებს, გაათავისუფლებს უდიდეს მატერიალურ და ადამიანთა რესურსებს მშვიდობიანი შრომისათვის, მეცნიერებას ჩააყენებს კაცობრიობის სამსახურში.

განიარაღება ვერ გადაჭრის ყველა გადაუჭრელ სოციალურ და სხვა პრობლემას, მაგრამ იგი შექმნის ხალხთა ინტერესების შესაბამის პირობებს.

განიარაღებისა და მშვიდობის საქმე განუყოფელია იმ ხალხთა საქმისაგან, რომლებიც თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

შეუწყნარებელი და სამარცხვინოა კაცობრიობისათვის, რომ მილიონობით მამაკაცი, ქალი, ბავშვი ჯერ კიდევ არის კოლონიურ მონობაში, რომ აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა ჯერ კიდევ დამოკიდებულია ეკონომიურად იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე, რომ ჰიტლერის განადგურების 18 წლის შემდეგ კიდევ არსებობენ ფაშისტური დიქტატურები.

ყველა ხალხს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თავისუფლად და დამოუკიდებლად იცხოვროს, აირჩიოს თავისთვის ცხოვრების წესი და საზოგადოებრივი წყობილება.

ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ქალებს, ხალხებს, რომლებიც იბრძვიან ყველა სახეობის იმპერიალისტური ჩაგვრის, ყველა ფორმის კოლონიალიზმისა და ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, განთავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

სოლიდარობას ვუცხადებთ ქალებს, რომლებიც იბრძვიან და იტანჯებიან ფაშიზმის საშინელ პირობებში. და ჩვენ ვიბრძვით, რომ არც ერთი ქალი არ იყოს საპყრობილეში იმის გამო, რომ იცავდა თავის ბავშვებს, თავისუფლებას, მშვიდობას.

ქალებმა, ჩვენ, სიცოცხლის მომნიჭებლებმა, უნდა დავიცვათ სიცოცხლე.

ჩვენ გვაკისრია დიდი პასუხისმგებლობა ჩვენი უფლებების, ჩვენი ბავშვების ბედნიერების დაცვის საქმეში, მშვიდობისა და ხალხთა დამოუკიდებლობის უფლებების დაცვის საქმეში, მაგრამ აღსავსე ვართ ჩვენი ძალის დიდი რწმენით.

ჩვენ კაცობრიობის უმრავლესობა ვართ. ჩვენი ძლიერება ჩვენი ერთობაა, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა თავიდან აგვეცილებინა დღემდე მესამე მსოფლიო ომის საშინელებანი.

ის, რაც გვაერთიანებს, დიდი ძალაა:

ეს არის სიყვარული ჩვენი ბავშვებისადმი, მეგობრობა და სოლიდარობა მთელი მსოფლიოს ქალებსა და ხალხებს შორის, ეს არის ჩვენი მისწრაფება მშვიდობისადმი, სამართლიანობისადმი, მთელი კაცობრიობის პროგრესისა და ბედნიერებისადმი.

ჩვენ გავერთიანდით, რათა მოვიკრიბოთ და ავამოქმედოთ მთელი ძალები ომის საფრთხის წინააღმდეგ, რათა უზრუნველვყოთ მტკიცე მშვიდობა მთელ დედამიწაზე.

თუ მოვინდომებთ, სიცოცხლე გაიმარჯვებს!

მოსკოვი, 1963 წლის 24-29 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სპენდიაროვის სახელობის ერევნის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქალაქ თბილისში 1963 წელს გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის სპენდიაროვის სახელობის ერევნის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი. 1963 წლის 29 ივნისი.

ი. პ. კაზანეცი — უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

კიევი, 29 ივნისი. (საკდესი). უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 28 ივნისის ბრძანებულებით უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა ივანე პავლეს-ძე კაზანეცი, რომელიც მანამდე უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდა.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ვლადიმერ ვასილის-ძე შჩერბიცკი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

• ახალგაზრდობის დღესასწაული •

გულები ხარობენ

შეხედეთ ამ სახეგაცისკროვნებულ ახალგაზრდებს — ჩვენს მზემოკიდებულ, კუნთმაგარ, სიცოცხლით სავსე ჭაბუკებს და ქალიშვილებს. ესენი ბედნიერი, ლაღი, შრომისა და სწავლის მოყვარე ახალგაზრდობის წარმომადგენლები არიან.

დღეს ამ ახალგაზრდობის ტრადიციული დღესასწაულია.

საბჭოთა ახალგაზრდობის წლევანდელი დღესასწაული ემთხვევა კომუნიზმის მშენებელი ხალხის უდიდეს პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ აღმავლობას, გამოწვეულს პარტიის XXII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლით. წლევანდელი დღესასწაული ემთხვევა იმ უდიდეს სიხარულს, რასაც პროგრესული კაცობრიობა განიცდის საბჭოთა კოსმონავტების ახალი უდიდესი გამარჯვებით. სწორედ ჩვენი ახალგაზრდობის რიგებში არიან აღზრდილნი ჩვენი გმირი კოსმონავტები იური გაგარინი, გერმანე ტიტოვი, ანდრიან ნიკოლაევი, პავლე პოპოვიჩი. საბჭოთა კოსმონავტების ეს სახელოვანი რიგები შეავსო ორმა ახალმა გმირმა ვალერი ბიკოვსკიმ და ვალენტინა ტერეშკოვამ.

საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა დღევანდელ დღეს ხვდება უდიდესი წარმატებებით ინდუსტრიის, ტრანსპორტის, მშენებელთა ფრონტებზე, სოფლის მეურნეობაში, კულტურის დარგში.

ზეიმია, ახალგაზრდობის ზეიმია ჩვენს ქვეყანაში.

• • •

სურათზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ამ დღეს მიუძღვნეს

კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურის დიდი გამოფენა. აქ წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის შრომები — „ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები“, „ახალგაზრდობის შესახებ“, ნ. ს. ხრუშჩოვის ნაშრომი „კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლებო, მაღლა ატარეთ ლენინის დროშა“, კრებული მასალებისა „სკკპ კომკავშირისა და ახალგაზრდობის შესახებ“ და სხვ.

კარგად არის გაფორმებული განყოფილება „კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა სახეები მხატვრულ ლიტერატურაში“. აქ ექსპონირებულია ი. ბაუკოვის მოთხრობა „ჩემი მეგობრის ხიჯაბუკე“, ი. ლევჩენკოს მოთხრობები „დასაბრუნებელი ბილეთი არ ჭქონდა“. აქვეა ფოტოსურათები და დიაგრამები, რომლებიც აშუქებენ ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის გმირულ შრომას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

(საქდესი).

შრომა—საუკეთესო აღმზრდელი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში

მართალი სიტყვის ძალა

ლაპარაკობენ პლენუმის მონაწილენი

მოსკოვი, კრემლი. მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რაოდენ დიდი დაფასებაა იყო მისი მონაწილე, მოისმინო სიტყვები, რომლებიც მოგითხრობენ საბჭოთა ხალხის დიდ წარმატებებზე, კომუნისტური მშენებლობის ნათელ პერსპექტივებზე. მე წილად მხვდა ბედნიერება დავსწრებოდი ივნისის პლენუმს, რომელმაც იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები შეიმუშავა, გზა გაუკვლია ახალი ადამიანის აღზრდის საქმეს.

მოხსენებისა და კამათის შემდეგ პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის მგზნებარე მედროშემ ამხანაგმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა, რომელმაც მკაფიოდ, დამაჯერებლად ილაპარაკა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელობასა და როლზე კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

პლენუმმა პარტიის იდეოლოგიურ მუშაობაში წინა პლანზე წამოსწია ახალი ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანის აღზრდის ამოცანა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის მიზნით პლენუმმა პარტიულ ორგანიზაციებს მოსთხოვა იდეოლოგიური მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება. თანამედროვე პირობებში პარტიის იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარ ამოცანად დასახულია ის, რომ იდეოლოგიურად უზრუნველყოფილ იქნას სკკპ პროგრამის განხორციელება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება, ახალი ადამიანის აღზრდა.

მე, როგორც აგიტატორმა, გადავხედე ჩემს ნამუშევარს და დავრწმუნდი, რომ, მართალია, გაკეთებული ბევრია, მაგრამ საკმარისი მაინც არ არის. გასულ წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა ვერც ხორცის წარმოების დავალება და ვერც რძისა. თელავის საწარმოო სამმართველოს სხვა კოლმეურნეობებს წველადობის მხრივ. კუდში მივჩანჩალებდით. ამის მიზეზი ის იყო, რომ კოლმეურნეობაში ნაკლებად ზრუნავდნენ პირუტყვის მოვლა-პატრონობისათვის, საკვებიც არ გვქონდა საკმარისად, მეძროხეები არ იცავდნენ ზოოვეტწესებს.

გადავწყვიტე ჩემი საგიტაციო საუბრებით გავლენა მომეხდინა მეცხოველეობის მდგომარეობაზე კოლმეურნეობაში. მეცხოველეები დამერაზმა ხორცისა და რძის წარმოების დავალების შესრულებისათვის.

— „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა სასახელოდ შესრულება ჩვენი საბრძოლო ამოცანაა". — ამ თემაზე თითქმის ყოველდღე ვაწყობდი საუბრებს. ვავლინებდი ნაკლოვანებებს, ვამხილებდი ზარმაცებსა და თაღლითებს, მივუთითებდი გამოუყენებელ რეზერვებზე, რომელთა ამოქმედება დიდად აამაღლებდა მეცხოველეობის პროდუქტიულობას. საგიტაციო საუბრების დროს გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს ვაცნობდი კოლმეურნეობის გამგეობას, პარტიულ ორგანიზაციას, რომლებიც მაშინვე იღებდნენ საჭირო ზომებს.

შედეგი? მიმდინარე წლის ხუთ თვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით თვითეული ძროხის წველადობა 72 კილოგრამით გადიდდა და სახელმწიფოს ჩვიდმეტი ათასი კილოგრამით მეტი რძე ჩაბარდა.

ჩვენი კოლმეურნეობის 146 სული ძროხა ზაფხულს ცივ-გომბორის იალაღებზე ატარებს. როგორც კი მოსკოვიდან დავბრუნდი, მაშინვე მთას მივაშურე. მეცხოველეებს დაწვრილებით მოვუთხრე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგებზე. მწველავთა შორის გავაჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება. ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას ყოველდღიურად ვამოწმებ. საგიტაციო საუბრის დროს მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილებას და მუშაობის ნოვატორულ მეთოდებს ვაცნობ ჩამორჩენილებს.

კურდღელაურელი მეძროხეები ყოველდღიურად 700-800 კილოგრამ რძეს აბარებენ რძის გადამმუშავებელ ქარხანას. მათ შორის ყველაზე კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ვ. ხოსმაზარაშვილმა, ფ. რაზმაძემ, ა. კორინთელმა და ფ. ჯიმშიტაშვილმა. ისინი დიდი გადაჭარბებით ასრულებენ წველადობის ყოველდღიურ დავალებას.

როგორც ხედავთ, წარმატებანი არის, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. პარტიის ივნისის პლენუმმა მოითხოვა მკაცრი ბრძოლა გამოვუცხადოთ ზარმაცებს, მუქთახორებს, რომლებიც საზოგადოებისათვის არაფერს აწარმოებენ, მაგრამ საზოგადოებისაგან ბევრს მოითხოვენ, საერთო ქონებაში ურცხვად აფათურებენ ხელს. გადავწყვიტეთ, რომ მეცხოველეებთან სისტემატურად გამოვუშვა ფურცლები, რომლებშიც ვამხილებ და გავამათრახებ ზარმაცებს და მუქთახორებს.

ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა დავუქვემდებაროთ კოლმეურნეობის წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას.

ო. გოგეჯიშვილი,
თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის აგიტატორი.

გეგმა—ვადამდე

ზესტაფონი. ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა ვადამდე 102,7 პროცენტით შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე ათასი ტონა პროდუქცია. განვლილ პერიოდში შრომის ნაყოფიერება 7,6 პროცენტით გაიზარდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია ზეგეგმითი დაგროვება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 400 ათასი მანეთი.

მიწის გაცოცხლება

მეცნიერი მელიორატორები სოფლის მეურნეობას

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელიც რესპუბლიკაში ერთ-ერთი უხუცესი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებაა (დაარსებულია 1929 წელს), მოწოდებულია მომსახურება გაუწიოს და დახმარება აღმოუჩინოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას სარწყავი სისტემებისა და ჭაობთა დაშრობის რაციონალურად მოწყობაში, ნიადაგების შესწავლაში, სამელიორაციო სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელებაში.

შევჩერდები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებასთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხზე.

მარტო აღმოსავლეთ საქართველოში ამჟამად აღრიცხულია 20 ათას ჰექტარზე მეტი საერთო ფართობის დაჭაობებული და ზედმეტტენიანი ტერიტორია, რომელიც გამორთული იყო და არის რესპუბლიკის სავარგულების ფონდიდან.

აღმოსავლეთ საქართველოს ჭაობები უმთავრესად მდ. ალაზნის მარცხენა მხარეზეა. აქ ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა მოახდინეს საყურადღებო ცდა: სოფელ გიორგეთის მახლობლად დაჭაობებულ სივრცეზე შეისწავლეს დაჭაობების მიზეზები, დაადასტურეს, რომ დაჭაობებას იწვევს ღელეების — კაბალის, არეშისა და ავენის ჩამონადენთა დაურეგულირებლობა, ნიადაგქვეშა წყლების არახელსაყრელი რეჟიმი და თვით ნიადაგის სტრუქტურული თავისებურება.

საჭირო იყო ჭაობის დაშრობის ყველაზე ხელსაყრელი, ადგილობრივი პირობების შესაბამისი სისტემის გამონახვა, მაშასადამე, სათანადო ცდების დაყენება. ამისათვის ჩვენმა სპეციალისტებმა გამოჰყვეს და შემოფარგლეს 1,5 ჰექტარი ზედმეტტენიანი ფართობი, მოასწორეს იგი ბულდოზერით, გაიყვანეს ექსკავატორით წყალმიმღები არხი-კოლექტორი და შეუდგნენ ე. წ. სოროვანი დრენაჟის მოწყობას. ჭაობის დაშრობა ინტენსიურად წარიმართა და გასული წლის აპრილში ამ საცდელ ნაკვეთზე დათესეს ადგილობრივ საუკეთესოდ ალიარებული ჯიშის თეთრა სიმინდი.

ამასთან იქვე საკონტროლოდ გამოჰყვეს დაუშრობელი ფართობი, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ჩვეულებრივად თესავს იმავე ჯიშის სიმინდს. გასულ ოქტომბერში, როგორც საკონტროლო უბანზე, ისე სოროვანი დრენაჟის უბანზე ავიღეთ მოსავალი. საცდელმა უბანმა ჰექტარზე მოგვცა 51 ცენტნერი მოსავალი, ხოლო საკონტროლო უბანმა — 33,2 ცენტნერი. აქედან გამოტანილია დასკვნა და დამუშავებულია რეკომენდაციები იმის შესახებ, რომ სოროვანი დრენაჟის მოწყობით შეიძლება მნიშვნელოვნად გავადიდოთ მოსავლიანობა კახეთის დაჭაობებულ ფართობებზე, მით უმეტეს, რომ სოროვანი დრენაჟის მოწყობა ძნელი არ არის და შედარებით იაფი ჯდება.

რაკი კახეთის ჭაობებს შევეხეთ, აქვე გვინდა განვმარტოთ კახეთისთვის დამახასიათებელი მეორე პრობლემა — ალაზნის ველის მიწების დამლაშების საკითხი. ალაზნის ველზე აღრიცხულია 23.000 ჰექტარი დამლაშებული ფართობი, რომელზეც არავითარი კულტურა არ ხარობს. ნიადაგის დამლაშებას იწვევს წყლების მიერ მიწის ზედაპირზე ამოტანილი მარილები. წყალი ამოდის, შრება, მარილები კი რჩებიან და ნიადაგს მოუსავლიანს ხდიან. ასე დაიკარგა 23.000 ჰექტარი ფართობი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის, მაგრამ საინტერესოა, ხომ არ შეიძლება ამ ფართობების გაჯანსაღება, სიმლაშის ლიკვიდაცია?

ამ საკითხის შესწავლაზე ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები უკვე რამდენიმე წელიწადია მუშაობენ. ჯერ დააყენეს ცდები ორი ჰექტარი ფართობის სიმლაშის მოსასპობად. ცდებმა კარგი შედეგები მოგვცა. შემდეგ ეს საცდელი ფართობი 114 ჰექტარამდე გააფართოვეს და მიიღეს სავსებით გარკვეული, კარგი შედეგები. გამოირკვა მიწების სიმლაშის აღკვეთის სრული შესაძლებლობა. საამისოდ შემუშავებულია ორი ღონისძიება — ნიადაგის ჩარეცხვა მტკნარი წყლით, რაც უმჯობესია შემოდგომა-ზამთრის სეზონში განვახორციელოთ და, ნიადაგის ელექტრიზაცია, რაც ძალიან ამცირებს სიმლაშეს.

არ გაივლის დიდი დრო, და ალაზნის ველის ეს დამლაშებული ფართობები, რომლებიც სახალხო მეურნეობისათვის დაკარგულად იყო მიჩნეული, შემუშავებულ და ცდებით შემოწმებულ აგრომელიორაციულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად კვლავ ჩაირთვება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ციკლში, ათვისებული იქნება ვენახების გასაშენებლად, ბროწეულის, ლეღვის, ატმის, ქლიავისა და სხვა ხეხილის ბაღებისათვის. თუ ვივარაუდებთ, რომ ალაზნის მადლიანი მიწა ყოველი ჰექტარის მიხედვით, რაც უნდა ცუდი პირობები იქნეს, 1.000 მანეთის მოსავალს მაინც მოგვცემს ყოველწლიურად, ძნელი არ არის იმის გამოანგარიშება, რას მოგვცემს 23 ათასი ჰექტარი.

ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი წარმატებით მუშაობს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი კიდევ ერთი პრობლემის შესწავლასა და გადაწყვეტაზე. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში ჩაის კულტურის განვითარებისათვის არსად არ არის ისეთი ხელსაყრელი პირობები, როგორც ჩვენში, დასავლეთ საქართველოში. მაგრამ აქ ჩაის მეურნეობის წინაშე თავს იჩენს რამდენიმე დაბრკოლება. ჩაის პლანტაციები საჭიროებენ მორწყვას, დასავლეთ საქართველოში კი უმთავრესად კარბონატული წყლის შემცველი მდინარეებია. აქედან აღებული წყლით მორწყვა პლანტაციების ნიადაგის სიმჟავეს ამცირებს, ხოლო ჩაის კულტურისათვის საჭიროა მაღალი სიმჟავის ნიადაგი. გარდა ამისა, საჭიროა ახალი პლანტაციების გაშენება, მაშასადამე, საჭიროა ახალი თავისუფალი საპლანტაციო ფართობების გამონახვა. ხომ არ შეიძლება ხელოვნურად გავაძლიეროთ ნიადაგების მჟავიანობა, გავაშენოთ პლანტაციები სუსტმჟავე და ნეიტრალური რეაქციის ნიადაგებზე? — თურმე შეიძლება.

ამ მხრივ საყურადღებო შედეგებია მიღებული ჩვენი ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დაყენებული ცდით. ნიადაგის სიმჟავე აქ გააძლიერეს 1 ჰექტარ ფართობზე 2,5 ტონა გოგირდის შეტანით. ნიადაგში გოგირდის [illegible] შეტანამ [illegible] მოსავლიანობის [illegible] წლის [illegible] ხელოვნურად გამჟავიანებული პლანტაციების ყოველ ჰექტარზე ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალმა მოგვცა 17-24 პროცენტით ზრდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გოგირდი იაფია, ხოლო მისი შეტანა ნიადაგში თითქმის ერთი მეოთხედით ზრდის ჩაის ფოთლის მოსავლიანობას, ნიადაგის გოგირდით გამჟავიანება დიდად ხელსაყრელ ღონისძიებად უნდა შევაფასოთ.

ასეთივე აქტუალურია მეორე საკითხი — ჩაის პლანტაციებზე დაწვიმებითი მორწყვის სტაციონარული სისტემების მოწყობის პრობლემების შემუშავება, რომელიც ინსტიტუტს დაუკვეთა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების რესპუბლიკურმა სამინისტრომ; ამ თემის გადასაწყვეტად მუშაობა ინსტიტუტმა შარშან დაიწყო და გაისად უნდა დაამთავროს. ახალი ტიპის სარწყავი სისტემების (დაწვიმებით) მოწყობა უნდა განხორციელდეს 10.000 ჰექტარ ფართობზე, რაც რესპუბლიკას ყოველწლიურად 2.440.000 მანეთ დამატებით შემოსავალს მისცემს.

ჩვენი ინსტიტუტი სწავლობს და იკვლევს აგრეთვე კახეთის პირობებში ვენახების მორწყვის რეჟიმის დადგენის საკითხს. სათანადო რეკომენდაციები წარმოებაში დასანერგავად უნდა გადავცეთ შვიდწლედის ბოლოსათვის, რაც ჩვენი გამოანგარიშებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წლიურ შემოსავალს 6.450.000 მანეთით გაადიდებს.

ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი ენთუზიაზმით განაგრძობს დაძაბულ შემოქმედებით შრომას პარტიის ისტორიული XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახულ დიად მიზანდასახულობათა შესრულებაში ღირსეული წვლილის შესატანად.

მ. გაგოშიძე,
საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

კომუნისტური შრომის ჩირაღდნები

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის ახალი დიდი გამარჯვება

კულტურისა და დასვენების პარკი-ფაბრიკა — ასე შეიძლება ვუწოდოთ თბილისის ჩაის საწონ წარმოებას. შეხვალთ ეზოში და თქვენს თვალწინ გადაიშლება ულამაზესი ბაღნარი. აქ შეხვდებით მრავალი ჯიშის მარადმწვანე და ფოთლოვან ხეებს, რომლებიც გემოვნებით არის განლაგებული ქარხნის ტერიტორიაზე. ნაირფერი ყვავილებით ეზო ისეა აჭრელებული, რომ ხელაპრული ხალიჩა გეგონებათ. ყველა კუთხეში გემოვნებით არის მოწყობილი მუშათა დასასვენებელი ადგილები, ახალგაზრდობისათვის სპორტული მოედნები.

გულდასმით დავათვალიერეთ მთელი ეზო. თვითეულ ბუჩქს ეტყობა ადამიანის მზრუნველი ხელი. გულით რომ გინდოდეთ, ფაბრიკის უზარმაზარ ტერიტორიაზე ასანთის ღერსაც კი ვერ იპოვნით დაგდებულს. იდეალურმა სისუფთავემ ძალიან გაგვაკვირვა.

კარგი მეურნე უსათუოდ მიხვდება, რომ ფაბრიკის ესოდენ დიდ პარკს ასე საგულდაგულოდ ერთი და ორი მებაღე ვერ მოუვლის. ეს უთუოდ მთელი კოლექტივის მზრუნველობის შედეგია.

ფაბრიკის სამმართველოს შენობის შესასვლელში შევხვდით წარმოების დირექტორს მიხეილ სარჯველაძეს. ვერ დავფარეთ ჩვენი აღფრთოვანება და შევეკითხეთ:

— რამდენი მეეზოვე გყავთ, ფაბრიკის ეზო დასვენების პარკს რომ ჰგავს და იდეალური სისუფთავეა?

— მეეზოვე ჩვენი კოლექტივის თვითეული წევრია. ვერ ნახავთ წარმოებაში ერთ კაცსაც კი, რომელსაც ეს ბუჩქები, ხეები, ყვავილები არ უყვარდეს და თვალისჩინივით არ უფრთხილდებოდეს. სწორედ ამის შედეგია ის, რასაც თქვენ უყურებთ.

რაც თქვენ ნახეთ, ეს დიდი შრომისა და ბრძოლის ფასად მოვიპოვეთ. ფაბრიკაში რამდენიმე ასი კაცი მუშაობს. თვითეულმა ეზოში რაიმე რომ დააგდოს, ცხადია, მის დასუფთავებას მეეზოვეები ვერ აუვლენ და ასეთი სისუფთავეც არ იქნება. იყო დრო, როცა ჩვენი ფაბრიკის ტერიტორია, საამქროები ასე კეკლუცად არ გამოიყურებოდა. მაგრამ როცა დავიწყეთ ბრძოლა კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელწოდების მოპოვებისათვის, მაღალნაყოფიერ შრომასთან ერთად ყურადღება წარმოების კულტურასაც მივაქციეთ, ვიბრძოდით იმისათვის, რომ შრომასა და ყოფაცხოვრებაში მტკიცედ დაგვენერგა კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების წესები.

— სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადეთ უქნარებს, დაუდევრებს, წესრიგის დამრღვევებს. ამ ბრძოლის პირველ დღეებში ზოგნი შენიშვნას უკადრისობდნენ, მაგრამ კოლექტივის საერთო ძალამ აიძულათ, წესრიგს დამორჩილებოდნენ, ემუშავნათ ისე და ყოფაცხოვრებაში ყოფილიყვნენ ისეთი, როგორიც არიან წარმოების მოწინავე ადამიანები. ახლა წარმოებაში ყველა იცავს კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების წესებს, მივაღწიეთ იმას, რომ ყველა მუშა გადაჭარბებით ასრულებს დავალებას. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ წარმოებაში ყველა ბრიგადა ღირსეულად ატარებს კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელწოდებას.

ფაბრიკის მაჩვენებლები, წარმოების მაღალი კულტურა მტკიცე საფუძველს გვაძლევს, ვთქვათ, რომ სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მტკიცედ იბრძვიან წარმოების მთელი კოლექტივის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაში სავსებით სწორად არის ხაზი გასმული, რომ გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის „საჭიროა იდეური ზემოქმედების ყველა საშუალებით დავნერგოთ კომუნისტური დამოკიდებულება **საზოგადოებრივი სიმდიდრისადმი**, აღმოვფხვრათ ზოგიერთი ადამიანის შეხედულება საზოგადოებრივ სოციალისტურ საკუთრებაზე, როგორც სხვის, სახელმწიფო საკუთრებაზე ჩავუნერგოთ მათ მისწრაფება გაამრავლონ სამშობლოს სიმდიდრენი, გამოუშვან მაღალი ხარისხის პროდუქცია, შეამცირონ მისი თვითღირებულება, აწარმოონ შეურიგებელი ბრძოლა უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ, თვალის ახვევის ფაქტების, ნაკისრ ვალდებულებებისადმი უპატივცემლობის წინააღმდეგ..."

წარმოებაში კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა 1959 წლიდან დაიწყო. განვლილ პერიოდში სისტემატურად იზრდებოდა პროდუქციის გამოშვება, უმჯობესდებოდა წარმოების ეკონომიური მაჩვენებლები. აი ციფრებიც, რომლებიც წარმოების თანმიმდევრულ ზრდას გამოხატავს.

1959 წელს გამოშვებული იყო 38,3 მილიონი მანეთის პროდუქცია, იმავე საწარმოო ფართობიდან 1960 წელს პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 3,7 მილიონი მანეთით, 1961 წელს — 4,3 მილიონი მანეთით, 1962 წელს — 2,6 მილიონი მანეთით. კიდევ უფრო ნათელ სურათს იძლევა ერთ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე ნატურალური პროდუქციის გამოშვების ზრდა. 1959 წელს ყოველ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე გამოშვებულ იქნა 4,5 ტონა ჩაი, 1960 წელს — 5 ტონა, 1961 წელს — 5,3 ტონა, 1962 წელს — 5,7 ტონა, ე. ი. პროდუქციის გამოშვება 1962 წელს 1959 წელთან შედარებით გაიზარდა 27,6 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდამ 25 პროცენტს გადააჭარბა.

წარმოებაში პროდუქციის გამოშვების ზრდასთან ერთად მთავარი ყურადღება ექცევა წარმოების ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. აღსანიშნავია ის, რომ გეგმასთან შედარებით სისტემატურად მცირდება პროდუქციის გამოშვების ხარჯები. მაგალითად, 1959 წელს ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე დაიხარჯა 96,5 კაპიკი, 1960 წელს — 95,7, 1961 წელს — 95,3, და 1962 წელს 95 კაპიკი. უკანასკნელ სამ წელიწადში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია დიდძალი ეკონომია.

ამ წარმატებას ფაბრიკის კოლექტივმა იმით მიაღწია, რომ ინერგება ახალი ტექნიკა და გაუმჯობესებული ტექნოლოგია. ახლა წარმოებაში თითქმის ყველა უბანზე შრომატევად სამუშაოებს მანქანები ასრულებენ.

ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვა უდავოდ კარგი საქმეა, რაც უტყუარი ბერკეტია შრომის ნაყოფიერების გადიდების, წარმოების რენტაბელობისა, მაგრამ პროდუქციის გამოშვების გადიდების ყველაზე დიდი რეზერვია ის, რომ კომუნისტური შრომის ბრიგადების, ცალკეული ნოვატორების შრომითი მაჩვენებლების დონეზე ავიყვანოთ წარმოების საერთო მაჩვენებელი. ამ მიმართულებითაც თვალსაჩინო შედეგები აქვთ თბილისელ ჩაის გადამწონებს.

წარმოებას ბევრი ჰყავს ისეთი მოწინავე ადამიანები, რომლებიც ორმაგად ასრულებენ გამომუშავების ნორმებს, იძლევიან მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას. ასეთ ადამიანთა რიცხვი აქ სისტემატურად იზრდება. ამჟამად წარმოებაში არ არის ისეთი მუშა ან ბრიგადა, რომელიც გეგმას ვერ ასრულებდეს. წარმოების მოწინავე ადამიანი თვითონ რომ კარგად მუშაობს, მის გვერდით არც სხვას ანებებს იმუშაოს იმაზე ნაკლებად, ვიდრე თვითონ მუშაობს. ამით ისინი წმიდად იცავენ საბჭოთა მუშის კარგ სახელს და წინ სწევენ წარმოების ნაყოფიერებას.

წარმოებაში კომუნისტური შრომის მოძრაობის პირველი ინიციატორები არიან ბრიგადირები გ. ფირანიშვილი, ლ. ლებანიძე, შემდგომ მათ მხარდამხარ გამყვნენ გ. მაკაევის, ი. ეფრემიძის, ი. გოროდეცკის, ა. შეპელენკოს ბრიგადები. 1962 წლისათვის წარმოებაში ყველა ბრიგადა უკვე ატარებდა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელწოდებას. ამავე სახელს ღირსეულად იცავს ექვსი საამქრო. აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოების მუშაკთა ერთ მესამედს საშუალო და უმაღლესი განათლება აქვს. უკლებლივ ყველა მეცადინეობს ტექნიკურ და ეკონომიურ წრეებში. თვითეული მუშა ჩაბმულია პოლიტსწავლებაში. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ წარმოების კოლექტივი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს და აუმჯობესებს წარმოების ეკონომიურ მაჩვენებლებს. მიმდინარე წლის ხუთ თვეში შრომის ნაყოფიერება 1,1 პროცენტით გაიზარდა, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 22.600 მანეთით შემცირდა. მიღებულია ზეგეგმითი ეკონომია და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 56 ათასი მანეთი.

ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი მ. სარჯველაძე, მთავარი ინჟინერი გ. ხუნდაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ე. ტანასეიჩუკი, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე მ. მიმინოშვილი) მეორე წელია მტკიცედ ინარჩუნებს საქართველოს სსრ პროფსაბჭოსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას.

უკანასკნელ სამ წელიწადში თანმიმდევრულად მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გადაწყვეტილებით **თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკას კომუნისტური შრომის საწარმოს მაღალი წოდება მიენიჭა.**

ეჭვი არ არის, რომ ამ მაღალი წოდების მოპოვებით აღფრთოვანებული ფაბრიკის კოლექტივი გაბედული ნაბიჯით გასწევს წინ შვიდწლედის ახალი მიჯნების დასაპყრობად.

ზ. ბასილაშვილი,
ი. ბეჟაშვილი.

კომუნისტური შრომის საწარმო
ПРЕДПРИЯТИЕ КОММУНИСТИЧЕСКОГО ТРУДА

* * *

სურათზე: თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) — ქვემო რიგი: შ. ეფრემიძე, ნ. აბაშმაძე, გ. კიკაჩეიშვილი, ე. ჯაშიაშვილი, ი. სამსონიძე, მ. დანელია, მ. წიკლაური, ნ. სუპრუნი, ნ. ტალიკაშვილი, მ. ბზიავა, ს. ვაშაკიძე; **ზემო რიგი:** გ. ნიშნიანიძე, გ. ფირანიშვილი, შ. ჭოხონელიძე, ზ. ჯავახიშვილი, მ. სარჯველაძე (დირექტორი), ნ. ქინქარაული, დ. ჩილაძე, ლ. ევარესტოვა, თ. გულაშვილი.

ფოტო ვლ. ზარიძისა.

29 ივნისი პლანტაციებში

გალის საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა სულ მოკრიფეს 6.790 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მრავალმა კოლმეურნეობამ, ბრიგადამ და მეჩაიემ ისახელა თავი და ტონობით ზეგეგმით „მწვანე ოქრო" მოკრიფა. წარმატებას მიაღწია სოფელ შეშელეთის კოლმეურნეობამ, რომელმაც აპრილ-ივნისის გეგმით გათვალისწინებული 107 ტონის ნაცვლად მოკრიფა 116 ტონაზე მეტი, სოფელ აჩიგვარის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ სულ მოკრიფა 150 ტონა ნაცვლად 143 ტონისა.

თავდადებით იშრომეს წარჩელმა მეჩაიეებმა, მათ მოკრიფეს 88 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად სამი თვის გეგმით გათვალისწინებული 81 ტონისა. სოფელ საბერიოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრეფილია 211 ტონა ნაცვლად 209 ტონისა. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ის ბრიგადა, რომელსაც ანდრო ჩემია ხელმძღვანელობს. ბრიგადას მოკრეფილი აქვს 50 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული, გეგმა კი 46 ტონას ითვალისწინებდა.

კვლავ მოწინავეა ნაბაკევის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ციალა ეხვაია, რომელმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა წლიური დავალება — მოკრიფა 5.300 კილოგრამზე მეტი „მწვანე ოქრო". ამავე კოლმეურნეობაში ლუსია გამსახურდიას მოკრეფილი აქვს 4.100 კილოგრამი. ჭუბურხინჯელმა მეჩაიემ ციალა ყოლბაიამ წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.000 კილოგრამის ნაცვლად მოკრიფა 5.050 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ოქუმელ მეჩაიეს როზა შონიას მოკრეფილი აქვს 3.600 კილოგრამზე მეტი. იგი ყოველდღიურად საშუალოდ 50-60 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

თავი ისახელეს

მეტი ჩაისათვის ლაშქრობაში ბევრმა კოლმეურნეობამ ისახელა თავი და ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა აპრილ-ივნისის დავალება. გურიანთის კოლმეურნეობა ერთ-ერთი დიდი კოლმეურნეობაა მახარაძის რაიონში. მას სამი თვის გეგმით უნდა მოეკრიფა 661 ტონა ჩაის ფოთოლი, ფაქტიურად მოკრიფა 665 ტონაზე მეტი. ჯუმათელი მეჩაიეები წინ არიან. 559 ტონის ნაცვლად მოკრიფეს 606 ტონა. ნაგომარის კოლმეურნეობა „საქართველომ" მოკრიფა 620 ტონა ჩაის ნედლეული და აპრილ-ივნისის დავალება 118 პროცენტზე მეტით შეასრულა.

დაწინაურდნენ ასკანელი მეჩაიეები, რომლებმაც 400 ტონის ნაცვლად სამშობლოს მისცეს 430 ტონა „მწვანე ოქრო". ბახვის კოლმეურნეობამ სამი თვის დავალება 119,2 პროცენტით შეასრულა.

დავძლიოთ ჩამორჩენა

ივნისი მიიწურა. **გუდაუთის** საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებს სახარბიელო მდგომარეობა როდი აქვთ. მათ აპრილ-ივნისში უნდა მოკრიფონ 1.509 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, წლიური გეგმით კი 2.900 ტონა, ხოლო ვალდებულება უფრო მეტს ითვალისწინებს. 28 ივნისისათვის მოკრეფილი ჰქონდათ 1.350 ტონამდე ჩაის ფოთოლი.



გამრჯე მარჯვენის ბარაქა

აჭარელ მეჩაიეთა სიტყვა და საქმე

გათენდა. მზის ამოსვლას დაასწრო ადგომა ს. ქათამაძემ. პირველად ოჯახში მიიხედ-მოიხედა, საუზმე გამზადა, მერე კი თავისი მშობლიური, სახელისა და დიდების მომტანი ჩაის პლანტაციისაკენ გაეშურა.

ჯერ კიდევ დილაა. ბევრი საშინაო საქმე მოამთავრა ქათამაძემ, მაგრამ ახლა კიდევ უფრო დიდი, ჭეშმარიტად სახალხო საქმე ელოდება. წელს შარშანდელ მაჩვენებლებს უნდა გაუსწროს, ჰექტარზე მოკრიფოს 12 ათასი კილოგრამი „მწვანე ოქრო", ნაცვლად შარშან მოკრეფილი 11 ათასი კილოგრამისა, და ამით თავისი წვლილი შეიტანოს კოლმეურნეობის საერთო მაჩვენებლებში.

შარშან ხომ მთელ რესპუბლიკაში ისახელა თავი სოფელ აჭყვის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერმა". ანდა ვის არ გაახარებდა მათი მაჩვენებლები. სახელმწიფოს მიჰყიდეს 669 ტონა ჩაის ნედლეული. გეგმა 560 ტონას ითვალისწინებდა, მათ შეუძლიათ იამაყონ იმითაც, რომ საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 7.434 კილოგრამი „მწვანე ოქრო".

— წელს თვითეულ ჰექტარზე მოვკრეფთ 7.500 კილოგრამ ჩაის ფოთოლს— ამ დევიზით მუშაობენ ახლა აჭყველი კოლმეურნეები. აქვთ წარმატებებიც. მიუხედავად იმისა, რომ უამინდობის გამო წელს ფოთლის კრეფის სეზონი ერთი თვის დაგვიანებით დაიწყო, კოლმეურნეობამ „მწვანე ოქროს" კრეფის აპრილ-ივნისის გეგმა მაინც 15 დღით ადრე გაანაღდა და ამით შარშანდელ მაჩვენებლებს 15 ტონით გადააჭარბა. კოლმეურნეები ს. ქათამაძე, ვ. ცეროვა, პ. მერიციდი, მ. პოპანდოპულო ახლა ივლისის თვის ანგარიშში ყოველდღიურად ას-ას კილოგრამამდე ფოთოლს კრეფენ.

— კოლმეურნეობა ჩაის ნედლეულის კრეფის წლიურ გეგმას აგვისტოსათვის შეასრულებს, — ამბობს თავმჯდომარე ა. მურუზიძე. აჭყველი კოლმეურნეები სიტყვას არ გატეხენ.

წვიმიანი დღეა. ასეთ ამინდში ფოთლის საკრეფად გასვლა ძნელია, მაგრამ ამ სიძნელეს როდი შეუშინდნენ სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეები მ. გათენაძე, ტ. როდინა, უ. პინკოვა, ო. კირეკოსიანი. მათ სპეციალურად შეუძენიათ საწვიმრები და წვიმიან დღესაც მონდომებით კრეფდნენ ფოთოლს. 120 კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად 30 კილოგრამისა — ასეთი იყო მათი ერთი წვიმიანი დღის მაჩვენებლები.

სწორედ ასეთი მუშაობით სალიბაურელმა მეჩაიეებმა აჭარაში პირველებმა შეასრულეს ფოთლის კრეფის აპრილ-ივნისის გეგმა.

სოფელ წინსვლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე მ. აბაშიძე) წევრებმა წელს უნდა მოკრიფონ 475 ტონა ჩაის ფოთოლი. მაგრამ აქ ამას როდი დასჯერდნენ. მათ იკისრეს გეგმის ზევით სახელმწიფოს მიჰყიდონ 85 ტონა „მწვანე ოქრო". პირობის გასანაღდებლად ჩაის პლანტაციებში ყოველდღე და ყოველგვარ ამინდში ბეჯითი მუშაობაა გაჩაღებული. კოლმეურნეობამ აპრილ-ივნისის გეგმა 10 დღით ადრე გაანაღდა. აქ კარგად მოაწყეს შრომა. დიდი და პატარა დაინტერესებულია, ყველას უნდა, რომ კოლმეურნეობამ თავი ისახელოს. მაგალითად, ერთ დღეს კოლმეურნეობაში მოკრიფეს 12.237 კილოგრამი „მწვანე ოქრო" და ამით შარშანდელი ერთი დღის მაჩვენებელს 11 ათასი კილოგრამით გადააჭარბეს. ვინ არ იცნობს ი. ლაბაძეს, შ. ჯაინიძეს, შ. ბოლქვაძეს. თვითეული მათგანი დღეში 130-150 კილოგრამ ფოთოლს კრეფს.

გამარჯვებულთა ანსამბლში ბრწყინავს ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი ი. ფუტკარაძე). ფოთლის კრეფის სეზონის დაწყების დროს მეურნეობის კოლექტივმა იკისრა აპრილ-ივნისის გეგმა შეესრულებინა 5 დღით ადრე. ფაქტიურად პირობა 10 დღით ადრე გაანაღდეს. აქ დღეში კრეფენ 55-68 ტონა ფოთოლს, შარშან კი მხოლოდ მის ნახევარს კრეფდნენ. ასევე სასახელოდ მუშაობს ბობოყვათის კოლმეურნეობა, რომელსაც ნიჭიერი ორგანიზატორი შაქრო მახაძე ხელმძღვანელობს. აქ ჩაის კულტურის მოვლის საუკეთესო ტრადიციაა დამკვიდრებული. ჩქაურ ადამიანთა შრომისმოყვარეობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საკოლმეურნეო სოფელი ათობით სოციალისტური შრომის გმირსა და ორდენებით დაჯილდოებულს ითვლის. ეს — ჩაის პლანტაციებში გაწეულმა შრომამ გახადა ისინი ცნობილი, ახლა მთელს ჩაქვის საწარმოო სამმართველოში ცნობილი. კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც სულეიმან გვარაშვილი ხელმძღვანელობს ჩაის ფოთლის კრეფის აპრილ-ივნისის გეგმა უკვე გაანაღდა და ახლა ფოთოლს კრეფს ივლისის გეგმის ანგარიშში.

დაწინაურდა ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ლ. წულუკიძე). აქ დღეში კრეფენ 50-55 ტონა ფოთოლს ნაცვლად 30 ტონისა. ყურადღებას იპყრობს იმ აგროგანყოფილების ჩაის პლანტაცია, რომლის უფროსია მ. სიორდია. აგროგანყოფილებას გადაწყვეტილი აქვს ფოთლის კრეფის წლიური გეგმა აგვისტოსათვის შეასრულოს.

აჭარელმა მეჩაიეებმა 29 ივნისამდე 15.545 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო" რომ ჩააბარეს ფაბრიკებს გადასამუშავებლად და ამით ვადაზე ადრე 1.505 ტონით გადააჭარბეს ფოთლის კრეფის აპრილ-ივნისის გეგმას, განა რესპუბლიკაში საამაყო და ქების ღირსი არ არიან?

მეჩაიეთა წარმატებას უნდა მიეწეროს ისიც, რომ ასე მოზღვავებულ ნედლეულს ბევრი ფაბრიკა შეუფერხებლად იღებს და ამუშავებს. ამ მხრივ პირველობა აჭყვის ჩაის ფაბრიკას (დირექტორი მ. ბასილაძე, მთავარი ტექნოლოგი ბ. დოლიძე) ეკუთვნის. აქ სანიმუშოდ მოუწყვიათ ფოთლის მიღება. ფაბრიკის 9 ავტომანქანა დილადრიანად კოლმეურნეობებშია და განუწყვეტლივ ეზიდება ფოთოლს ფაბრიკაში გადასამუშავებლად.

უკვე მიიღეს ჩაის ნედლეულის ახალი მოსავლის პირველი მზა პროდუქცია. აქ მაისში უნდა გამოეშვათ 52 ტონა უმაღლესი ხარისხის ჩაი, ფაქტიურად 70 ტონა დაამზადეს.

ფაბრიკის კოლექტივი სხვა ფაბრიკასაც ეხმარება. ერთ დღეს ფოთლის ნედლეული იმდენი მოზღვავდა, რომ ხუცუბნის, სალიბაურის, ხელვაჩაურის ფაბრიკები მიღებას ვერ ასწრებდნენ, ფოთოლი ფუჭდებოდა. ეს ჩაქვის საწარმოო სამმართველოს უფროსმა რ. სიორიძემ დროულად აცნობა აჭყვის ფაბრიკას. ადგილზე პრაქტიკულად დაეხმარა საწარმოო სამმართველოს მთავარი აგრონომი ვ. გორდელაძე. ამის შედეგად 78 ტონა ფოთოლი ისე მიიღეს, რომ ერთი წუთითაც არ ყოფილა შეფერხება.

აჭარაში წარმატებებთან ერთად არის ნაკლოვანებებიც. ზოგან გეგმის შესრულების მიზნით ადგილი აქვს „იერიშობანას". მაგალითად, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის მესამე აგროუბნის (უფროსი ე. აბულაძე) პუნქტში დილით მოკრეფილი ფოთოლი ყუთებში ეყარა და დღის 2 საათისათვის არ იყო წაღებული ფაბრიკაში გადასამუშავებლად. ნედლეული კი შეხურებული იყო. აქვე 200 კილოგრამამდე მოკრეფილი ფოთოლი უხარისხო გამოდგა.

ფოთლის ნედლეულის მიღების დროს შეფერხებას აქვს ადგილი ბათუმის ფაბრიკაში. აქ ხშირად იმართება რიგი. მაგალითად, ერთ დღეს სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობიდან მანქანის მძღოლებმა ლ. თოდრიამ და მ. გასპარიანმა მოიტანეს 3 ტონამდე „მწვანე ოქრო" და მათ 4 საათამდე ალოდინეს. აქვე ფაბრიკის მუშა ა. ვოლკოვა კოლმეურნეობის ჩაის ფოთოლს აუწონავად ყრიდა გადასამუშავებლად ფაბრიკის ელევატორში.

სალიბაურის ჩაის ფაბრიკაში შესვლისთანავე წაიკითხავთ წარწერას: — ფეხი არ დაადგათ ჩაის ფოთოლს! ეს კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ პირიქით აკეთებენ. სალიბაურის საბჭოთა მეურნეობიდან მანქანის მძღოლების ს. გორგაძისა და კ. ტყეშელაძის მიერ მოტანილი ფოთოლი იქვე ეყარა მიმღებ პუნქტში და ფაბრიკის მუშები ზედ ფეხით დასეირნობდნენ. ასეთი მუშაობის შედეგია ის, რომ ფაბრიკაში მიღებული 15.545 ტონიდან 29,3 პროცენტი მეორე ხარისხისაა.

მსგავს ფაქტებს აქა-იქ სხვაგანაც ვხვდებით. ასე რომ არ ყოფილიყო, აჭარაში მოკრეფილი 9.221 ტონაზე მეტი ფოთლიდან 811 ტონამდე ნედლეული მეორე ხარისხისა არ იქნებოდა.

შარშან ჩაქველმა მეჩაიეებმა მთელ რესპუბლიკაში გაითქვეს სახელი. მათ შუქურა უწოდეს. ეს პირველი იყო რესპუბლიკაში. წელს აჭარელი მეჩაიეები იბრძვიან იმისათვის, რომ სამშობლოს მისცენ 31 ათასი ტონა ჩაის ნედლეული, ე. ი. 4 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, და 1.410 ტონით მეტი, ვიდრე შარშან ფაქტიურად მოკრიფეს.

ეჭვი არ არის, რომ აჭარის მშრომელები აღნიშნულ ნაკლოვანებათა დროულად გამოსწორებით წელსაც სასახელოდ შეასრულებენ პირობას. არის ამის შესაძლებლობაც, ყველგან უხვად არის ფოთოლი, საჭიროა ვკრიფოთ ჩაი განუწყვეტლივ, ყოველდღე ყოველგვარ ამინდში.

შ. ჭოჭუა,
რ. გორგაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები მთელი მსოფლიოდან

ალტაცებული შეხვედრა

პრაღა, 29 ივნისი. (საკდესი). პრაღის ყველა გაზეთი ცენტრალურ ადგილზე ბეჭდავს ცნობას ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ბერლინში ჩასვლისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში მისი გამოსვლის შესახებ.

„ნ. ს. ხრუშჩოვს გულითადი შეხვედრა მოუწყვეს ბერლინში“, „ასი ათასობით ბერლინელი აღფრთოვანებით მიესალმება ნ. ს. ხრუშჩოვს“, „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი მხურვალედ მიესალმება საპატიო სტუმარს“, — ასეთი სათაურებით ბეჭდავენ გაზეთები მასალებს.

სოფია, 29 ივნისი. (საკდესი). „ბერლინი ალტაცებით შეხვდა ნ. ს. ხრუშჩოვს“, „ძვირფასი სტუმრის ძმური შეხვედრა“, „მშვიდობისა და სოციალიზმის მღელვარე დღესასწაული“ — ბულგარეთის დღევანდელი გაზეთები ასეთი სათაურებით პირველ გვერდზე ბეჭდავენ ცნობებს იმის შესახებ, რომ ბერლინში ჩავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ცნობას ბერლინის მიტინგის შესახებ, ნ. ს. ხრუშჩოვისა და ვალტერ ულბრიხტის სიტყვებს.

„ბერლინი განსაკუთრებით ზეიმურად შეხვდა საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს“, — აღნიშნავს გაზეთი „ტრუდი“. ათასობით ადამიანი დილიდანვე შეიკრიბა შენეფელდის აეროდრომზე დედაქალაქის გარეუბანში, რათა მისალმებოდა ძვირფას სტუმარს, რომელიც მიაჩნიათ არა მარტო მსოფლიოს ყველაზე მძლავრი სახელმწიფოს წარმომადგენლად, არამედ მშვიდობისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ურყევ მებრძოლადაც, ხაზს უსვამს გაზეთი.

გამოცდილების გაზიარებისათვის

ვარშავა, 28 ივნისი. (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით გუშინ პოლონეთში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა ჯგუფი სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის ნ. რ. მირონოვის მეთაურობით. ვიზიტის მიზანია პარტიული მუშაობის გამოცდილების გაზიარება.

დაიხურა გენერალური ასამბლეის სესია

ნიუ-იორკი, 28 ივნისი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის მეოთხე სპეციალური სესიის გუშინდელი პლენარული სხდომა დაიწყო იმით, რომ განიხილეს დელეგაციების რწმუნებათა შემოწმების კომიტეტის მოხსენება.

სხდომაზე სსრ კავშირის დელეგაციამ კვლავ განაცხადა მტკიცე პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ დაამტკიცეს იმ პირთა ჯგუფის რწმუნებანი, რომლებიც ჯერ კიდევ ცდილობენ თავი გაასაღონ ჩინეთის წარმომადგენლებად. „დიდი ჩინელი ხალხის წარმომადგენლობის უფლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და მის ორგანოებში, — განაცხადა საბჭოთა დელეგატმა პ. დ. მოროზოვმა, — აქვს მხოლოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობის დელეგაციას — იმ უფლებათა და მოვალეობათა ერთადერთ კანონიერ მემკვიდრეს, რომლებიც აქვს ჩინეთს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთ დამაარსებელს.

სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციებმა არ დაუჭირეს მხარი წინადადებას ამ კომიტეტის მოხსენების მოწონების შესახებ და კენჭისყრაში თავი შეიკავეს.

მთელმა რიგმა დელეგაციებმა, კერძოდ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, კამბოჯის, გვინეის, ავღანეთის, ინდონეზიისა და მალის დელეგაციებმა, თუმცა ხმა მისცეს მოხსენებას, მაგრამ თავიანთ შენიშვნებში არსებითად მხარი დაუჭირეს იმას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ თავისი კანონიერი ადგილი დაიკავოს ამ ორგანიზაციაში, რადგან მათ მთავრობებს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა აქვთ დამყარებული სახალხო ჩინეთთან.

შემდეგ დელეგატებმა განიხილეს მეხუთე კომიტეტის პროექტები რეზოლუციებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთ წოდებული მშვიდობის დაცვის ოპერაციათა დაფინანსების შესახებ.

კენჭისყრის მოტივებით გამოსულმა სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ დამაჯერებლად განმარტა მიზეზები, რომელთა გამო საბჭოთა დელეგაციას მიუღებლად მიაჩნია რეზოლუციათა პროექტები.

ნ. ტ. ფედორენკომ განაცხადა: საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის მოქმედებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და შესაბამისი ფინანსური საკითხები უფლებამოსილია გადაჭრას მხოლოდ უშიშროების საბჭომ. მიუხედავად ამისა, აღნიშნა საბჭოთა წარმომადგენელმა, გადაწყვეტილება იმ საკითხების განხილვის შესახებ, რომელთა გამო რეზოლუციების პროექტი წარმოადგინა მეხუთე კომიტეტმა, „მიღებულ იქნა დასავლეთის სახელმწიფოთა ზეგავლენით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების წინააღმდეგ და უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით“. ნ. ტ. ფედორენკომ აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციებს კონგოსა და შუა აღმოსავლეთში ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდა და მოჰყვა ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ხარჯები მხოლოდ და მხოლოდ კოლონიურ სახელმწიფოთა და მათ თანამზრახველთა მიზეზით. მან ხაზი გაუსვა, რომ „საკითხის ერთადერთი სამართლიანი და მისაღები გადაჭრა იქნებოდა, რომ სწორედ ამ სახელმწიფოებმა იკისრონ „ამ ოპერაციებთან დაკავშირებული“ მთელი მატერიალური პასუხისმგებლობაც. საბჭოთა კავშირს, აღნიშნა მან შემდეგ, არ სურს გასწიოს ხარჯები იმისათვის, რომ იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციები კონგოში გამოიყენეს იქ „გავლენის სფეროთა“ ცინიკურად გადანაწილებისათვის კონგოელი ხალხის უგულებელყოფით“.

დასასრულ საბჭოთა წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა: „ის მდგომარეობა, რომელშიც დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აღმოჩნდა, ორგანიზაციის ფინანსური კრიზისი როდია. ეს არის მხოლოდ ფინანსური გამოხატულება იმ პოლიტიკური მარცხისა, რომელიც უკვე განიცადეს კოლონიურმა სახელმწიფოებმა, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება დაარღვიეს, და მომასწავებელია, რომ კიდევ უფრო დიდი მარცხი მოელით გარდუვალად კოლონიურ სახელმწიფოებს, თუ განაგრძეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევა“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციათა დაფინანსების შესახებ რეზოლუციათა პროექტების კენჭისყრის დროს, რაც ცალ-ცალკე გაიმართა, სსრ კავშირის, ბელორუსიის სსრ, უკრაინის სსრ და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა დელეგაციებმა (ხოლო მთელ რიგ პროექტების გამო საფრანგეთმაც) ხმა მისცეს წინააღმდეგ.

რეზოლუციები მიიღეს ხმის უმრავლესობით.

ამით გენერალური ასამბლეის მეოთხე სპეციალური სესიის დღის წესრიგი ამოიწურა და სესია დახურულად გამოცხადდა.

ი. ბროზ ტიტოს თხოვნით...

ბელგრადი, 28 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის საკავშირო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა დაადგინა ურჩიოს საკავშირო სკუპშჩინის ახალ შემადგენლობას, რომ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიოს ი. ბროზ ტიტო, ვიცე-პრეზიდენტად — ა. რანკოვიჩი და საკავშირო სკუპშჩინის თავმჯდომარედ — ე. კარდელი.

ი. ბროზ ტიტოს თხოვნით პლენუმმა გაათავისუფლა იგი იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის თავმჯდომარედ არჩეულია ლ. კოლიშევსკი.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა

პრაღა, 29 ივნისი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ოტო კლიჩკამ 28 ივნისს მიიწვია დიდი ბრიტანეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ჯ. მ. ჰანტარი და მოსთხოვა გაიწვიოს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან დიდი ბრიტანეთის საელჩოს პირველი მდივანი უ. ნ. ჰილერ-ფრაი.

ო. კლიჩკამ აღნიშნა, რომ უ. ნ. ჰილერ-ფრაის საქმიანობა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში, რაც გამოიხატებოდა საიდუმლო ცნობების შეგროვებით ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის შესახებ, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს და შეუთავსებელია დიპლომატის მისიასთან.

მაკმილანის განცხადება

ლონდონი, 29 ივნისი. (საკდესი). პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა გუშინ განაცხადა: „თუ ყველაფერი კარგად იქნა, და ჯანმრთელობა და ძალღონე შევინარჩუნე, იმედი მაქვს პარტიის (კონსერვატორთა პარტიის. — რედ.) სათავეში ვიყო მომავალი არჩევნების დროს. ეს განცხადება მან გააკეთა ტელევიზიით და გადასცა სატელევიზიო კომპანიამ „ინდეპენდენტ ტელევიჟნმა“.

ამ უკანასკნელ ხანს პარლამენტსა და პრესაში გაძლიერდა მოთხოვნები მაკმილანის გადადგომის შესახებ. თვითონ კონსერვატიულ პარტიაშიც კი გაისმის მოთხოვნები — ისეთი კაცით შეცვალონ მაკმილანი, რომელიც შეძლებს აღადგინოს კონსერვატორთა შერყეული პრესტიჟი. უკმაყოფილება მაკმილანის ხელმძღვანელობის გამო განსაკუთრებით გაძლიერდა სკანდალური ისტორიის შემდეგ, რომელსაც სამხედრო მინისტრ პროფიუმოს გადადგომა მოჰყვა.

მაკმილანის განცხადება აქ მიაჩნიათ ამ მოთხოვნების პასუხად, რომელიც იმას ნიშნავს, რომ პრემიერ-მინისტრს არ სურს დათმოს თავისი პოსტი.

პარლამენტის მორიგი არჩევნები მომავალი წლის ოქტომბრამდე უნდა გაიმართოს.

კონსტიტუციური თვითნებობა იტალიის პარლამენტში

რომი, 28 ივნისი. (საკდესი). სენატის შემდეგ იტალიის დეპუტატთა პალატამაც დართო ნება ლეონეს მთავრობას განავოს 1963-1964 საფინანსო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდის კრედიტები და ბიუჯეტის საბოლოო დამტკიცება გადადო ოქტომბრის დამლევამდე.

კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს ბიუჯეტის მუხლობრივი განხილვისა და დამტკიცების ვადის გადადებას, ხმა მისცა 245 დეპუტატმა, წინააღმდეგ მისცა ხმა 168 დეპუტატმა, კენჭისყრაში თავი შეიკავა 57 დეპუტატმა. ისევე როგორც სენატში, ამ კანონპროექტს ხმა მისცეს დეპუტატებმა — ძველი მთავრობის კოალიციის პარტიების წევრებმა.

კომუნისტმა დეპუტატმა ლაკონიმ წამოყენება ამ კანონპროექტისა, რომელიც ისეთ მთავრობას ანიჭებს უფლებებს, რომელმაც კინაღამ ვერ მიიღო, პარლამენტის ნდობის ვოტუმიც კი, დაახასიათა როგორც „კონსტიტუციური თვითნებობა“.

ა. ნოვოტნი ბერლინში

ბერლინი, 29 ივნისი. (საკდესი). დღეს ბერლინში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი. იგი მონაწილეობას მიიღებს ვ. ულბრიხტის დაბადების 70 წლისთავის დღესასწაულში.

ი. კადარი ბერლინში ჩავიდა

ბერლინი, 29 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იანოშ კადარი. იგი მონაწილეობას მიიღებს ვ. ულბრიხტის დაბადების 70 წლისთავის დღესასწაულში.

გულახდილი აღიარება

პარიზი, 28 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ აფრიკის საქმეებში მენენ უილიამსმა, რომელიც გუშინ ჩავიდა ბრაზავილში (ყოფილი საფრანგეთის კონგო), როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გააკეთა განცხადება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „იჩენენ მუდმივ ინტერესს“ კონგოსადმი. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განავითარა თავისი აზრი და გულახდილად აღიარა, რომ ამ „ინტერესის“ ერთ-ერთი უახლესი გამოვლინებაა ამერიკელ ბიზნესმენთა კერძო კაპიტალდაბანდება ამ ქვეყნის ეკონომიკაში.

რეაქციის თარეში

ლეოპოლდვილი, 28 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. კუზნეცოვი იტყობინება:

რეაქციული ძალების პროვოკაციების შედეგად იძულებული გახდა გადამდგარიყო კონგოს რესპუბლიკის აღმოსავლეთ პროვინციის მთავრობა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა გრენფელის მეთაურობით. რეაქციამ ყოველი ღონე იხმარა, რომ გადაეყენებინა გრენფელის მთავრობა, რომელიც იბრძოდა კონგოელი ხალხის ერთგული შვილის პატრის ლუმუმბას იდეების განხორციელებისათვის.

რეაქციულმა ძალებმა ამ მიზნით აღმოსავლეთ პროვინციის ცენტრში ქალაქ სტენლივილში მოაწყვეს უამრავი პროვოკაცია, გამოიყენეს არმიის ნაწილები პროვინციის მოსახლეობის დასაშინებლად. სტენლივილში კონგოს ხელისუფლებმა სასწრაფოდ მიავლინეს თავიანთი ემისრები, მათ შორის უშიშროების სამსახურის უფროსი ნენდაკე. როგორც აღნიშნულია „კონგოს ეროვნული მოძრაობის“ პარტიის ახალგაზრდობის ორგანიზაციის ხელმძღვანელი კომიტეტის განცხადებაში, ემისრების წინაშე დასახულია მიზანი „თესონ პანიკა და უწესრიგობა“. სტენლივილში მოხდა „კონგოს ეროვნული მოძრაობის“ პარტიის აქტივისტთა და მშვიდობიან მცხოვრებთა მასობრივი დაპატიმრება. პროვინციის ასამბლეის დეპუტატებსა და აღმოსავლეთ პროვინციის მთავრობის წევრებზე უხეში ზეგავლენა მოახდინეს, მთელი ამ მაქინაციებისა და რეპრესიების შედეგად რეაქციამ შეძლო დაემხო გრენფელის მთავრობა.

ამჟამად სტენლივილში რეაქციამ დაამყარა ტერორის რეჟიმი. იგი შეეხო უწინარეს ყოვლისა პატრის ლუმუმბას ოჯახის წევრებს. როგორც სტენლივილიდან იუწყებიან, გააფთრებული რეაქციონერები ცდილობდნენ გასწორებოდნენ კონგოს ეროვნული გმირის ნათესავს პოლ ლუმუმბას. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რეაქციული ელემენტები ცდილობდნენ დაენგრიათ მონუმენტი, რომელიც აღმართულია სტენლივილში პატრის ლუმუმბას პატივსაცემად.

ტელეგრაფი გვატყობინებს

☐ **იაპონიის** ქალაქ ნახაში გაიმართა კუნძულ ოკინავას მოსახლეობის მასობრივი მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მოთხოვეს დაუყოვნებლივ წაიღონ ატომური იარაღი კუნძულიდან და უარი თქვან იაპონიისა და ოკინავის ნავსადგურების ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავების ბაზებად გადაქცევის გეგმაზე.

☐ **ხანგრძლივმა** კოკისპირულმა წვიმამ და მისგან გამოწვეულმა წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა სამხრეთ კორეის მოსახლეობას. ოფიციალური ცნობებით, წყალდიდობის შედეგად დაიღუპა 186 კაცი, დაშავებულია — 176, სამხრეთ კორეის 42 ათასზე მეტი მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა.

☐ **ეკვადორის** მთავრობამ თავის მოქალაქეებს აუკრძალა კუბაში მოგზაურობა. საზღვარგარეთის პასპორტებში, რომლებსაც ხელისუფლება გასცემს, შეტანილი იქნება სათანადო შენიშვნა. ეკვადორის საზოგადოებრიობა გმობს მთავრობის ამ რეაქციულ ღონისძიებებს.

☐ **სამხრეთ კორეაში** ამჟამად მილიონობით გლეხი და ქალაქის მცხოვრები შიმშილობს. როგორც სამხრეთ კორეის სააგენტო „ტონხვა“ იუწყება, მიმდინარე წლის ივნისში სეულში ორჯერ და მეტად გაძვირდა ბრინჯი. ბრინჯის ნაკლებობის გამო დაიკეტა ბევრი მაღაზია, რომლებიც ამ პროდუქტით ვაჭრობდნენ სამხრეთ კორეის დედაქალაქში.

☐ **ბელგიისა** და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მანევრების დროს დასავლეთ გერმანიის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის სათვისტომოში დაიმსხვრა ბელგიის შეიარაღებული ძალების სამხედრო თვითმფრინავი „C-119“, რომელშიც 47 პარაშუტისტი იყო. მხოლოდ 9 კაცმა მოასწრო პარაშუტით გადმოხტომა, დანარჩენი 38 დაიღუპა.

☐ **არგენტინის** კერძო საწარმოთა მენავთობე მუშების ფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გმობს ამერიკის ნავთობის მონოპოლიათა საქმიანობას არგენტინაში. განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს კომპანიები მენავთობე მუშებს ბევრად ნაკლებ ხელფასს აძლევენ, ვიდრე მრეწველობის სხვა დარგების მშრომელები იღებენ. განცხადებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ მენავთობეებს „არაადამიანური საყოფაცხოვრებო პირობები“ აქვთ. (საკდესი).

მოსკოვი. ქალთა მსოფლიო კონგრესი. სურათზე: სხდომებს შორის შესვენების დროს ყაზახეთის დელეგატი რ. ესენჟოლოვა (მარცხნივ) მიესალმება კამერუნის დელეგატს ბერტრუდა ომეგს.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

მსოფლიოს ქალთა დიდი ასამბლეა

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 149, 150, 151, 15

მოსკოვი, 29 ივნისი. (საკდესი). გუშინ ხუთი დღე შესრულდა, რაც მუშაობს ქალთა დიადი ასამბლეა, რომელზეც შეიკრიბნენ ყველა კონტინენტის ხალხთა წარმომადგენლები. 28 ივნისს დილით ბევრი დელეგატი მონაწილეობდა სხვადასხვა კომისიის მუშაობაში. კომისიები იხილავდნენ ქალთა მსოფლიო მოძრაობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. საღამოს კონგრესის მონაწილე ასზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელნი კვლავ შეიკრიბნენ პლენარულ სხდომაზე კრემლის ყრილობათა სასახლეში.

პირველი გამოვიდა ქალთა უძველესი ორგანიზაციის-მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ქალთა საერთაშორისო ლიგის წარმომადგენელი ამერიკელი რუტ დოუბი. იგი კონგრესს ესწრება როგორც მეთვალყურე. ქალბატონი დოუბი მიესალმა კონგრესს და გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დაამყარონ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ და ლიგამ, რომლის წარმომადგენელიც იგი არის.

ლია ლაფაიე (ჩილი) ამბობს, რომ თანდათან იზრდება ქალთა მოძრაობა მის ქვეყანაში. იგი ხაზს უსვამს, რომ როგორც მათი გამოცდილება ცხადყოფს, ქალები უთუოდ უნდა მონაწილეობდნენ ხალხთა მშვიდობისა და სუვერენიტეტისათვის საერთო ბრძოლაში. განიარაღება უტოპია როდია, აღნიშნავს ჩილელი დელეგატი. არის მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ განიარაღების პრობლემის გადაჭრას. ქალები უნდა დავეხმაროთ ამ ფაქტორების განვითარებას.

პლენარულ სხდომაზე ორატორების გამოსვლებში მთავარია ერთი აზრი: მთელი მსოფლიოს ქალებს სჭირდებათ ერთობა და ეს არის მათი უდიდესი ძალა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სახელით ქალთა მსოფლიოს კონგრესს მიესალმა პიერ ბიკარი და თავის გამოსვლაში ხაზგასმით დაუჭირა მხარი იმ აზრს, რომ საჭიროა დედამიწის ყველა კეთილი ნების ადამიანის ერთობის განმტკიცება მშვიდობის დასამკვიდრებლად. მან ილაპარაკა მშვიდობის მომხრეთა საქმიანობაზე, ამ მძლავრი მოძრაობის პერსპექტივებზე და მოუწოდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას დაამყაროს მასთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა. თუ ჩვენ გაერთიანდებით და გადაჭრით ვიმოქმედებთ, მაშინ ვერავინ შეგვაჩერებს, განაცხადა მან.

მგზნებარე და აღფრთოვანებული იყო ვენესუელის დელეგატ ელენა როხეს გამოსვლა. ჩვენი ხალხი რეპრესიას განიცდის, განაცხადა მან. საპყრობილეებში იტანჯება ხუთი ათასი პოლიტიკური პატიმარი, და ეს ხდება იმ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა შვიდ მილიონ კაცს შეადგენს. დედას შვილს თვალწინ უხოცავენ. ორატორმა თქვა, რომ ამერიკის კონტინენტზე ახლა მხოლოდ კუბა გახდა ნამდვილი თავისუფალი ქვეყანა. მან აღნიშნა, რომ ვენესუელელ ქალთა მონაწილეობა ბრძოლაში თავიანთი უფლებებისათვის მჭიდროდ არის დაკავშირებული ბრძოლას მშვიდობისა და განიარაღებისათვის. ელენა როხესმა ვენესუელის დელეგაციის სახელით მოუწოდა კონგრესს გამოეხატა თავის გადაწყვეტილებებში სოლიდარობა ქალებისადმი, რომლებიც იბრძვიან იმისათვის, რომ ამნისტია მიეცეს ყველა პოლიტპატიმარს, შეწყდეს [illegible]. მან მოუწოდა აგრეთვე კონგრესს მხარი დაუჭიროს ვენესუელის ხალხს [illegible] დიქტატორული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში, ადამიანის უფლებათა გათელვის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იტალიელმა დელეგატმა სერენა მადონნამ აღნიშნა, რომ ქალთა მსოფლიო კონგრესმა კეთილშობილური მიზნების [illegible], რომლებსაც კაცობრიობა ისახავს. ჩვენ გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ ვიბრძოლებთ დიადი იდეალებისათვის — იმის შესაძლებლობებისათვის, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი, ვაშენებდეთ და არა ვანგრევდეთ.

სერენა მადონნამ თავისი დელეგაციის სახელით გამოთქვა ზოგიერთი შენიშვნა იმ პრობლემათა შესახებ, რომლებიც უნდა გადაჭრას ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ. იტალიელი ქალები, თქვა მან, სთხოვენ კონგრესის დამსწრე ყველა ამხანაგს გავერთიანდეთ მშვიდობისათვის კეთილშობილურ ბრძოლაში, განზე გადავდოთ ყველაფერი, რასაც შეუძლია გაგვთიშოს. ჩვენ შეგნებული უნდა გვქონდეს, თუ რა ძალას მოგვანიჭებს გაერთიანება.

ლიბანელი ქალები, ისე როგორც ლიბანის მთელი საზოგადოებრიობა, გმობენ სისხლიან რეპრესიას ქურთების მიმართ, რომლებიც ავტონომიის უფლებას მოითხოვენ ერაყის რესპუბლიკის ფარგლებში, განაცხადა კონგრესზე ლიბანის წარმომადგენელმა სურაია ადრამ. მან თქვა, რომ იცნობს იმ სამ ქალს, რომლებსაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. ეს ქალები წარმოადგენენ პატიოსნების სიმბოლოს, განასახიერებენ ადამიანის საუკეთესო თვისებებს, სიყვარულსა და მშვიდობას. ბაღდადში არავის არ ინდობენ — არც ბავშვებს, არც ქალებს, არც ქალიშვილებს, არც მოხუცებს, თქვა მან.

ავსტრიელი ქალები კვლავაც იბრძოლებენ მშვიდობისათვის, რადგან მშვიდობა სწორედ ის არის, რაც ყველაზე მეტად სჭირდებათ ადამიანებს, ხაზგასმით აღნიშნა გრეტა შიუტე-ლიხოცკიმ კონგრესის ტრიბუნიდან. მან დამსწრეთ მოაგონა, რომ ავსტრიის პარლამენტმა მიიღო კანონი ავსტრიის ნეიტრალიტეტის შესახებ, რითაც ამაყობს ავსტრიელი ხალხი. ავსტრიელ ქალთა დელეგატმა თქვა, რომ მისი ქვეყნის ქალებს სურთ, რომ დასავლეთმა ბერლინმა და დასავლეთმა გერმანიამ აგრეთვე მიიღონ კანონი ნეიტრალიტეტის შესახებ.

ცეილონის წარმომადგენელმა სომა ვიკრემანაიკემ კონგრესს უამბო იმაზე, თუ რა უფლებებით სარგებლობს ქალი ცეილონში. მან სიამაყით განაცხადა, რომ ცეილონის პრემიერ-მინისტრი ქალია. ცეილონელი დელეგატი შეეხო მშვიდობის შენარჩუნების, ატომური ომის თავიდან აცილების საკითხებს და გადაჭრით განაცხადა: არ დავუშვებთ, რომ ჩვენი შვილები გახდნენ მსხვერპლნი, რომ მომავალი თაობანი ფერფლად იქცნენ.

მტკიცე მშვიდობა თავისთავად როდი მოვა, იგი უნდა მოვიპოვოთ, და ჩვენ გვწამს, რომ მივაღწევთ ამას, განაცხადა საბჭოთა დელეგაციის წევრმა ნინო ზარიპოვამ. ტაჯიკეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ქალები ამაყობენ და ბედნიერი არიან იმით, რომ სწორედ საბჭოთა მთავრობამ შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წინადადება კოლონიური ხალხებისათვის თავისუფლების მინიჭების შესახებ. ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შესრულდეს ეს დეკლარაცია, თქვა მან. ჩვენი სინდისი ვერ შეურიგდება იმას, რომ ადამიანთა დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ იტანჯება კოლონიურ უღელქვეშ. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამავე დროს თქვა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა შეესაბამება ყველა ხალხის ინტერესებს და რომ მარტო ამ პირობებში შეიძლება მივაღწიოთ გამარჯვებას ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

კუბელი ქალების სახელით კონგრესს მიესალმა ვილმა ესპინ დე კასტრო. მის გამოჩენას ტრიბუნაზე დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. მან მხურვალე მისალმების სიტყვები გადასცა საბჭოთა ხალხს და საბჭოთა ქალებს, რომელთა ოჯახშიც აღიზარდა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა. მსოფლიოს ქალებმა, თქვა შემდეგ ესპინ დე კასტრომ, ერთად უნდა იბრძოლონ საერთო მიზნებისათვის. ჩვენი მეგობრები არიან ყველანი, ვინც იბრძვის ქალთა და ბავშვთა უფლებებისათვის. და ყველაფერი, რაც გვსურს, რისთვისაც ვიბრძვით, — ეს არის მშვიდობა. მშვიდობა ესაჭიროება კუბასაც იმისათვის, რომ აშენოს ახალი ცხოვრება, თავისი შვილების ბედნიერი მომავალი.

კუბის დელეგაციის მეთაურმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა აქტიურად მონაწილეობენ კუბელი ქალები პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. მან თავისი თანამემამულე ქალები დაახასიათა როგორც მამაცი მეომრები, რომლებიც საშიშროების წუთებში მამაკაცების მხარ და მხარ იცავენ რევოლუციის მონაპოვრებს. „სამშობლო ან სიკვდილი! ჩვენ გავიმარჯვებთ!“ — ამ ტრადიციული ლოზუნგით დაამთავრა თავისი გამოსვლა გმირი ხალხის წარმომადგენელმა.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სახელით, რომელიც 120 მილიონ კაცს აერთიანებს და რომელთა ნახევარი ქალია, კონგრესს მიესალმა მარიამ რადიჯი (ბულგარეთი).

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მჭიდრო კავშირია მშრომელი ქალების ეკონომიური და სოციალური მოთხოვნებისათვის ბრძოლასა და მშვიდობისათვის, საყოველთაო განიარაღებისათვის ბრძოლას შორის. ჩვენ არ დაგვავიწყებია, თქვა მან, რომ მილიონობით ადამიანი დაიღუპა მეორე მსოფლიო ომის დროს, ჩვენ არ დაგვავიწყებია ის ზარალი, რომელიც ომმა მიაყენა ეკონომიკასა და კულტურას. ჩვენ არ გვინდა მესამე მსოფლიო ომი, რომელიც მოასწავებს მთელი ერების მოსპობას, და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბევრი თაობის ცხოვრებას. მარიამ რადოვამ აღნიშნა, რომ პროფკავშირთა მეორე საერთაშორისო კონფერენცია მშრომელი ქალების პრობლემებზე, რომელიც მომავალი წლის ოქტომბერში გაიმართება ბუქარესტში, ქალთა ფართო დემოკრატიული ტრიბუნა იქნება, სადაც ისინი განიხილავენ მათთვის სპეციფიკურ პრობლემებს მთელი მუშათა კლასის მოთხოვნათა ფარგლებში.

მოკლე იყო ისლანდიის წარმომადგენლის ასა ოტესენის გამოსვლა. როცა იგი თავისი ხალხის მრავალსაუკუნოვან კულტურასა და კეთილშობილურ ტრადიციებზე ლაპარაკობდა, მის ხმაში სიამაყე იგრძნობოდა. გულისწყრომით აღსავსე იყო მისი ინტონაცია, როცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზა კეფლავიკში — მისი პატარა ქვეყნის ტერიტორიაზე საფრთხეს უქმნის ისლანდიელ ხალხს. ისლანდიის ქალები იბრძვიან იმის წინააღმდეგ, რომ შეიქმნას სამხედრო ბაზები მათ ტერიტორიაზე და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, ისინი იბრძვიან აგრეთვე ნატოში ისლანდიის მონაწილეობის წინააღმდეგ. ჩვენ, განაგრძო ისლანდიის დელეგატმა, დიდ იმედებს, მშვიდობისათვის ჩვენი საერთო ბრძოლის კიდევ უფრო დიდ წარმატებათა იმედებს ვუკავშირებთ კონგრესს.

გუშინდელ საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე მარტინიკის, სენეგალის, პოლონეთის, ირანის, ისრაელის, დასავლეთ ბერლინის, ზანზიბარის, პორტუგალიის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

კრემლის ყრილობათა სასახლე. აქვე დღეს მიმდინარეობდა აქ დიდი სჯა-ბაასი მშვიდობის ბედის, მთელი პლანეტის მომავალი თაობის ბედის შესახებ. დარბაზში ძგერდა ვეებერთელა მამაცი გული, გული დედისა. ჯერ კიდევ კონგრესის პირველ დღეს ეჟენი კოტონმა, ქალთა საერთაშორისო მოძრაობის უხუცესმა მოღვაწემ, როცა ფორუმის მთავარ მიზნებს შეეხო, თქვა: „ჩვენ გვინდა მთელ დედამიწაზე მოვამზადოთ ხვალინდელი დღის ქალის მოსვლა, ქალისა, რომელსაც არა სურს დაკარგოს არც ერთი ნაწილი თავისი სილამაზის და თავისი გრძნობებისა, მაგრამ სურს იყოს მამაკაცის თანამებრძოლი, მასთან ერთად თანასწორი იყოს ოჯახში, შრომასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ შეუქმნას მთელი დედამიწის ბავშვებს საყოველთაო მშვიდობა“.

მსოფლიოს ქალთა წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლის გამოცდილება და ერთად ფიქრობდნენ, ბჭობდნენ — როგორ იცხოვრონ მომავალში. კონგრესზე იყო დისკუსიები, იყო პაექრობა. მაგრამ დედამიწის სხვადასხვა ადგილზე მცხოვრები და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ქალები, უაღრესად საწინააღმდეგო პოლიტიკურ შეხედულებათა ქალები ერთსულოვანნი იყვნენ, როცა საქმე ეხებოდა მშვიდობისათვის, მათი ბავშვების ნათელი მომავლისათვის ბრძოლას. ყველა, ვინც კონგრესის ტრიბუნაზე ადიოდა, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქალთა სულ უფრო მზარდი მოძრაობის ძალაა ერთობა. და კონგრესის მონაწილეებმა შეფიცეს ერთმანეთს — მტკიცედ იბრძოლონ მოზარდი თაობის ბედნიერებისათვის, მეგობრობისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის.

29 ივნისს დილით გაიმართა კონგრესის პლენარული სხდომა. სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენელმა ბუჰრა პერტომ. მან წარმატება უსურვა ქალთა მსოფლიო კონგრესს, რომელიც, როგორც მან თქვა, დიდი მოვლენაა ქალთა მსოფლიო მოძრაობის ისტორიაში. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, თქვა მან, მუდამ აღტაცებით და ინტერესით ადევნებდა თვალს ქალთა ბრძოლას. მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას კონგრესი მიაჩნია ქალთა დიდად განვითარებული და დაუძლეველი მოძრაობის განსახიერებად განიარაღებისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, თავიანთი უფლებებისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში.

ხანმოკლე, მაგრამ შთაგონებით აღსავსე იყო გამოსვლა მოზამბიკის წარმომადგენლისა, რომელმაც სთხოვა კონგრესს ყოველი ღონისძიებით დაეხმაროს მისი ქვეყნის მოსახლეობას დამოუკიდებლობის მოპოვებაში. მან განაცხადა, რომ მოზამბიკის ქალებმა წერილები გაუგზავნეს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლებშიც წერენ აფრიკის ამ ქვეყნის ხალხისა და ქალების გაჭირვებულ მდგომარეობაზე.

ქალთა უუფლებო მდგომარეობაზე, ბავშვთა აღზრდასა და განათლებაში არსებულ სიძნელეებზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში აგრეთვე პერუსა და ბოლივიის წარმომადგენლებმა.

უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისათვის, ხაზგასმით აღნიშნა კანადის დელეგატმა ვიოლეტ დიუპრესტმა. ჩვენ, განაგრძო მან, ვიბრძვით ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ, იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა აღარ იყოს ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ბაზა. კანადა მაღალინდუსტრიული ქვეყანაა, მაგრამ ამ ქვეყანაშიც ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რომ უზრუნველვყოთ ქალების სრული თანასწორუფლებიანობა. დღემდე პოლიტიკურ ცხოვრებაში არ უკავიათ აქ ქალებს წამყვანი მდგომარეობა. პარლამენტში სულ ოთხი ქალია. ეს უთანასწორობა იგრძნობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ზედიზედ ადიან ტრიბუნაზე სხვადასხვა კონტინენტის დელეგატები. და თითქმის ყოველი მათგანი გამოსვლის შემდეგ კონგრესის პრეზიდიუმს გადასცემს თავის სამახსოვრო საჩუქარს — ქალის ხელით მოქარგულ დროშას, ალამს, ხელოვნურად გაკეთებულ ქანდაკებას, როგორც იმ ქვეყნის სახსოვარს, რომლის ქალები მხარს უჭერენ თავიანთ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც მათი მისწრაფებებისა და იმედების განხორციელებისათვის იბრძვის.

კონგრესის მონაწილეებს გულითადად მიესალმა ქ-ნი მუდიგდიო (ინდონეზია). ჩვენ მიგვაჩნია, თქვა მან, რომ კონგრესმა უნდა მიიღოს ისეთი პროგრამა, რომელიც გააერთიანებს ქალთა ყველა ორგანიზაციის მოქმედებას მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში. ინდონეზიის მშვიდობისმოყვარე ქალები მხარს უჭერენ წინადადებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, მათ მიაჩნიათ, რომ ამ სერიოზული ღონისძიების განხორციელება კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს მთელი კაცობრიობის განვითარებაზე. ინდონეზიის დელეგატმა მადლობა უძღვნა ყველა ქალს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ინდონეზიის ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში დასავლეთ ირიანის დაბრუნებისათვის.

აღშფოთებით ილაპარაკა ტაზი ტუსიამ (მაროკო) იმის შესახებ, რომ საჰარა გადააქციეს ატომურ პოლიგონად. ჩვენ თვითონ, თქვა მან, ვართ საფრთხეში და საფრთხეს ვუქმნით სხვა ქვეყნებსა და სხვა ხალხებს. მაროკოს ქალები იბრძოლებენ მშვიდობისათვის, განიარაღებისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის. ჩვენ ვიცით, განაცხადა ტაზი ტუსიამ, რომ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში შევძლებთ პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვებას, მოვსპობთ სილატაკესა და უწიგნურობას.

მხურვალედ მიესალმა ვალენტინა ტერეშკოვას აფრიკის შორეული ქვეყნის ბასუტოლენდის წარმომადგენელი ელიზაბეტ ჩიტია. ჩემი ქვეყნის ქალები, თქვა მან, შენატრიან საბჭოთა ქვეყნის ქალებს, რომლებმაც მიაღწიეს თავიან საბოლოო მიზანს — თანასწორობას ცხოვრების ყველა სფეროში. მათ გაკაფეს ქალის სრული განთავისუფლების გზა.

ჩვენს ქვეყანაში ვამბობთ, განაგრძო ელიზაბეტ ჩიტიამ, რომ სწორედ დედებს უკავიათ ხელში დანის პირი. ეს ნიშნავს, რომ ქალი მუდამ იქ არის, სადაც საფრთხე ემუქრება მის ბავშვებს, ამიტომ მთელი მსოფლიოს ქალებმა უნდა ილაპარაკონ ერთ ენაზე — მშვიდობის ენაზე.

PAIX
PEACE
МИР
FRIEDEN
PAZE

დილის პლენარულ სხდომის თავმჯდომარემ ალიცია მუსიალოვამ (პოლონეთი) გამოაცხადა, რომ ქალთა მსოფლიო კონგრესის სახელზე მოვიდა ქალთა სხვადასხვა ორგანიზაციისა და ასოციაციის მრავალი მისალმება, აგრეთვე წერილები და მილოცვები მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან.

საბჭოთა ქალებმა პრეზიდიუმს გადასცეს დიდი ყვავილებიანი ვაზა, რომელზეც გამოსახულია ვალენტინა ტერეშკოვას პორტრეტი. კონგრესის სახელით თავმჯდომარემ წრფელი და მხურვალე მადლობა უძღვნა ყველას, ვინც მიესალმა დედამიწის ქალთა მოსკოვის ფორუმს.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ჰონდურასის, დაჰომეისა და სხვა ქვეყნების დელეგატები.

ამით დამთავრდა საერთო დისკუსია იმ პრობლემებზე, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო კონგრესისადმი წარდგენილ მოხსენებებში.

ქალთა მსოფლიო კონგრესმა დაამთავრა მუშაობა

მოსკოვი, 29 ივნისი. (საკდესი). დღეს ქალთა მსოფლიო კონგრესმა დაამთავრა მუშაობა, რომელიც ექვს დღეს გაგრძელდა კრემლის ყრილობათა სასახლეში. ყველა კონტინენტის 118 ქვეყნის დელეგატებმა — ასეულ მილიონობით ქალის წარმომადგენლებმა დაადასტურეს თავიანთი ნება და მტკიცე გადაწყვეტილება დაუცხრომლად იბრძოლონ მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის, ქალთა უფლებებისა და ბავშვთა ბედნიერებისათვის.

საღამოს დასკვნით პლენარულ სხდომაზე მოისმინეს მოხსენებანი კომისიების მუშაობის შედეგების შესახებ: „ქალის უფლებანი საზოგადოებასა და ოჯახში“, „მშვიდობა, განიარაღება და ხალხთა მეგობრობა“, „ქალთა ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის“, „ბავშვებისა და ახალგაზრდობის ჯანმრთელობა, აღზრდა და განათლება“.

შემდეგ კონგრესის მონაწილეებს გააცნეს ქალთა მსოფლიო დემოკრატიული ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების შედეგები. ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ არჩეულია **ეჟენი კოტონი**. საპატიო ვიცე-პრეზიდენტებად აირჩიეს **ლეონორა ანდრე ანდრეენი** (შვეცია) და **დოლორეს იბარური** (ესპანეთი).

კონგრესზე წაიკითხეს ფედერაციის საქმიანობის პროგრამა.

კონგრესის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ყველა ქვეყნის, ყველა კონტინენტის ქალებისადმი, დედებისადმი.

სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის პრეზიდენტმა **ეჟენი კოტონმა**.

(საკდესი).

ლიტერატურა და ხელოვნება

მეგობრების გასტროლები

შთაგონებული ხელოვნების გზით

ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლებზე

ყოველ თეატრს თავისი საშემსრულებლო ტრადიციები აქვს. თვითეულ თეატრში, რაოდენ თავისებურიც უნდა იყოს მისი შემოქმედებითი სახე, ეს ტრადიციები ყალიბდება უმდიდრესი მუსიკალური მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშების საფუძველზე.

ჩაიკოვსკისა და ბიზეს, მუსორგსკისა და პუჩინის ქმნილებანი ყოველი მუსიკალური თეატრის რეპერტუარს ამშვენებს. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესია ვერდი, „ღვთაებრივი იტალიელი მაესტრო", უდიდესი ჰუმანისტი, ვინც უბრალო, მაგრამ სულიერი სილამაზით აღსავსე ადამიანთა უკვდავი სახეები გამოკვეთა. უსაზღვროა ვერდის ხელოვნების ზემოქმედებითი ძალა, უზადოა მისი მუსიკის მომაჯადოებელი სილამაზე. იგი ერთნაირად მომხიბვლელია იმ ახალგაზრდა თაობისათვის, რომელიც საოპერო მომღერლის ეკლიან გზას ეს-ეს არის დასდგომია, და იმათთვისაც, ვინც თამამად ეუფლება ვოკალური ხელოვნების მწვერვალებს.

ჩვენს თეატრებში რატომღაც დაკანონდა, რომ ვერდის მდიდარი მემკვიდრეობიდან მხოლოდ რამდენიმე ოპერა იდგმება, მათ შორის რეპერტუარისათვის „ტრადიციული" „ტრავიატა", „რიგოლეტო", „აიდა".

ჩამოსვლამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ერევნელებმა ორიგინალური, იშვიათი რეპერტუარით მოგვხიბლეს. მასში „ტრადიციული", ზეპირად შესწავლილი „ტრავიატაც" იყო და სრულიად „არატრადიციული" „ბალ-მასკარადი" და „ოტელო".

„ტრავიატა" სომხური თეატრის სცენაზე იმ ინტიმურ-კამერული სტილით ჟღერს, რომელიც ასე ახლოა ამ ოპერის ჟანრის სპეციფიკურობასთან — ლირიკულ დრამასთან. სპექტაკლი ჩვეულებრივი, „ტრადიციულია". ამავე დროს იგი აღსავსეა სისადავით და შინაგანი ტაქტით.

გოჰარ გასპარიანი მღერის ვიოლეტას თუმცა პატარა ხმით, მაგრამ რჩეული გემოვნებით.

გასპარიანი ვერდის მეორე ოპერაშიც მოვისმინეთ. „ოტელოში" მის მიერ დეზდემონას ვოკალურ-სცენური განსახიერება გაცილებით უფრო ჰარმონიულია, ვიდრე ვიოლეტასი. მაგრამ დეზდემონა ხომ ვიოლეტა არ არის! ვერდის ვიოლეტა მსოფლიო საოპერო ლიტერატურის ქალთა ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი, ფსიქოლოგიური სახეა. მისი შთამბეჭდავი ძალა სწორედ იმაშია, რომ აქ იდეალურად არის შერწყმული ვოკალური და სცენური სახეები.

უდიდესი დრამატურგი ვერდი მუდამ იმისაკენ მიისწრაფოდა, რომ მისი გმირები არა მარტო მღეროდნენ, არამედ განიცდიდნენ, მოქმედებდნენ კიდეც. ვერდი მომღერლისაგან მოითხოვდა არა მარტო ვოკალურ, არამედ დრამატულ მონაცემებსაც. სწორედ ამით სურდა მას დაეპირისპირებინა თავისი რეფორმა ძველი იტალიური ოპერისათვის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მომღერლის ჰეგემონიით გამოირჩეოდა.

„ტრავიატას" ფაქიზი მუსიკალური ინტერპრეტატორია დირიჟორი ს. ჩარექიანი და მასთან ერთად მთავარი როლების ორი შემსრულებელი: ტემპერამენტიანი ა. კოვალიოვი და ლამაზი და კეთილშობილური ხმის მქონე ა. კარაპეტიანი.

სომხური საოპერო თეატრი ძიებისა და თამამი შემართების შემოქმედებითი კოლექტივია. ამაში ყველაზე მეტად დაგვარწმუნა მისმა რეპერტუარმა, რომელშიც ისეთი საინტერესო სპექტაკლებია, როგორიც არის სტრავინსკის „ოიდიპოსი" და სამი საბალეტო ნოველა, ხაჩატურიანის „სპარტაკი" და ვერდის „ბალ-მასკარადი".

„ბალ-მასკარადი" ერევნელების ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლია, მთლიანი, ერთ სუნთქვაზე აგებული, დრამატურგიულად შეკრული, ვოკალურად და სცენურად შერწყმული...

სპექტაკლი „ოტელო" ის წარმოდგენაა, რომელმაც განსაკუთრებული სრულყოფილობით გამოავლინა თეატრის შემოქმედებითი პოტენციალი.

თავისთავად უკვე ის, რომ თეატრმა მსოფლიო მუსიკალური დრამატურგიის ერთ-ერთ მწვერვალს მიმართა, მეტად გაბედული და უდავოდ სასიხარულო ნაბიჯია.

„ოტელო" ხომ ვოკალური და სცენური ოსტატობის ის მაქსიმალური შერწყმაა, რომლისკენაც მთელი თავისი სიცოცხლე მიისწრაფოდა ვერდი, „ოტელო" ურთულესი მუსიკალური ნაწარმოებია. ერევნელების შესრულებაში მომხიბვლელია არა იმდენად ოპერის მუსიკალური განსახიერება (აქ ზოგიერთი რამ დაუძლეველი აღმოჩნდა), რამდენადაც თვით ცდა მუსიკალური დრამის რთული ჟანრის დაუფლებისა. ეს ცდა კი ნამდვილად გულწრფელი და მხურვალეა, ვინაიდან თეატრის არც ერთი სპექტაკლი არ არის მთელი კოლექტივის შემოქმედებითი ძალების ისეთი მაქსიმალური სინთეზი, როგორც „ოტელო".

აქ ყველა თეატრალური აქსესუარი მთავარს, შინაგან ფსიქოლოგიურ დრამას ემორჩილება (დამდგმელი ა. გულაკიანი). ერევნელები „ოტელოს" ასრულებენ მხურვალედ, შინაგანი ცეცხლით, ერთიანი სუნთქვით, თვითეული შემსრულებელი თავისი მაქსიმალური შესაძლებლობის მიხედვით.

ჩვეულებრივად, როცა ოპერის მუსიკალურ ინტერპრეტაციაზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, პირველად ნაწარმოების ვოკალურ მხარეს ეხებიან. აქ კი, უწინარეს ყოვლისა, განსაკუთრებით ორკესტრი მინდა გამოვყო (დირიჟორი ი. დავითიანი). და არა იმიტომ, რომ ვერდიმ, ერთ-ერთმა პირველმა მსოფლიო მუსიკაში, ასე გაბედულად გაუთანასწორა იგი ვოკალს, რითაც ბრწყინვალედ გადაჭრა თავისი საოპერო რეფორმის მთავარი პრობლემა. სომხური საოპერო თეატრის ორკესტრი განსაკუთრებით მუსიკალურად უკრავდა, ძლიერ თავშეკავებულად და ამავე დროს ამაღლებულად. მშვენივრად გამოიკვეთა ფინალის დინამიკური კონტრასტები; მთელი ორკესტრის შეკრული დაძაბულობა და სიმებიანი და ხის ჩასაბერი საკრავების ჰაეროვანი ჟღერადობა.

საერთოდ ფინალი ჩინებული იყო ყველაფრით, გასპარიანის უფაქიზესი შესრულებით, სიყვარულის თემის გამომსახველი ჟღერადობით ორკესტრში, დრამატული სიტუაციების სიჭარბით, რამაც გულწრფელად აალელვა მსმენელი.

გ. გასპარიანი ვოკალური ხელოვნების ნამდვილ ოსტატად წარმოგვიდგა. მისმა ცნობილმა „სიმღერამ ტირიფზე" ფინალში გულგრილი არავინ დატოვა.

ვერდის მიხედვით ოტელოსა და იაგოს სახეებში ერთნაირად უნდა იყოს შერწყმული ვოკალური და სცენური მონაცემები. ს. დანიელიანს (ოტელო) ასეთ მგზნებარე, დრამატულ როლში მეორედ ვხვდებით (მანვე იმღერა ოიდიპოსი). დანიელიანს ძლიერი, მჭექარე ხმა აქვს, სასიამოვნო გარეგნობა, თანდაყოლილი ტემპერამენტი. ოღონდ ზოგჯერ ეს ტემპერამენტი ზედმეტად მჟღავნდება სიმღერაშიც და სცენურ მოქმედებაშიც. განსაკუთრებით დაძაბულია მომღერლის ხმა მაღალ რეგისტრში. საერთოდ უფრო რბილად, „წყნარად" რომ მღეროდეს, მის შესრულებას უდავოდ მოემატება გამომსახველობაც და დამაჯერებლობაც. უკეთესი იქნებოდა მეტი თავშეკავებულობა სცენურ მოქმედებაში. ს. დანიელიანი ბევრს მოძრაობს სცენაზე, ზედმეტად აქნევს ხელებს, ხოლო ზოგჯერ მისი მოქმედება გაკვირვებასაც კი იწვევს. ასე, ჩვენი აზრით, სრულიად დაუშვებელია მესამე მოქმედების მიზანსცენა, როდესაც განრისხებული ოტელო დიდებულ ვენეციელთა თანდასწრებით დეზდემონას სცემს.

კარგად მღერის და თამაშობს იაგოს მ. ერკატი. ოღონდ მასაც ზოგიერთი რამ უნდა ვუსაყვედუროთ იაგოს სცენურ განსახიერებაში, განსაკუთრებით I მოქმედებაში. ერკატი აშკარად აჭარბებს, როცა ამ სახეში ხაზს უსვამს დემონურს — „მეფისტოფელურს", სწორედ იმას, რისი საშიშროებაც ჰქონდა ვერდის და მომღერლებს აფრთხილებდა ამის წინააღმდეგ. „იაგო დემონი არ არის, — წერდა კომპოზიტორი, — იგი ადამიანია, უაღრესად ბოროტი, საშინელი, მაგრამ მაინც ადამიანი. სულ ბოლომდე იგი არაფრით არ უნდა ამჟღავნებდეს თავს, ოტელოსათვის იგი ხომ უპატიოსნესი იაგოა".

აღნიშნული საყვედური ოტელოსა და იაგოს სცენური მოქმედების მიმართ დამდგმელს ა. გულაკიანს უფრო ეხება, ვიდრე თვით შემსრულებლებს.

კიდევ ერთი შენიშვნა რეჟისორს — დეზდემონას გარეგნობის შესახებ.

ოქროსფერთმიანი დეზდემონა ყოველივე ნათელის, უწმინდესის, უმანკოების სიმბოლოა, მგზნებარე ოტელოს უფაქიზესი გრძნობების განსახიერება. სწორედ ასეთი იყო მუდამ ჩვენი ხედვითი ასოციაცია, თუ აღარას ვიტყვით თვით შექსპირის და ვერდის ჩანაფიქრის შესახებ. საოცარი იყო, როდესაც ოქროსთმიანი დეზდემონას ნაცვლად სცენაზე კუპრივით შავთმიანი ოტელოს მეუღლე წარმოგვიდგა. იგი უფრო მცხუნვარე აღმოსავლეთის დედოფალს მოგვაგონებდა, ვიდრე ვენეციის დოჟის ჰაეროვან ქმნილებას.

მშვენიერია კასიოს როლში ს. ბარხუდარიანი. რაღა უნდა ითქვას კიდევ „ოტელოს" შესახებ? სასიხარულოა, როდესაც თეატრი ხელოვნების მწვერვალებისაკენ მიისწრაფვის.

მ. ფიჩხაძე.

სურათებზე: (მარცხნივ) სცენა სპექტაკლ „ტრავიატადან". ჟერმონი — მ. ერკათი, ვიოლეტა — ე. უზუნიანი. (მარჯვნივ) სცენა სპექტაკლ „ოტელოდან". ოტელო — ს. დანიელიანი, დეზდემონა — ა. არუთინიანი.

„მზე ღრუბლებში"

ამ კრებულს ქართველი ქალები უძღვნიან ქალთა მსოფლიო კონგრესს და უსურვებენ წარმატებას მუშაობაში.



ასეთი წარწერა აქვს ქართველ ქალთა ნაწარმოებების კრებულს, რომელიც სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა (სარედაქციო კოლეგია თ. აბაშიძე, მ. ბარათაშვილი, თ. დონჯაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი, ა. ღვინიაშვილი).

წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „მშვიდობის დასაცავად ირაზმებიან მილიონობით კაცები, ქალები, ჭაბუკები და ქალიშვილები. ირაზმებიან მშვიდობის მომხრეთა ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციები, ახალგაზრდების კავშირები, ქალთა ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, ასოციაციები, კომიტეტები. აქტიურ ბრძოლაში ჩაება მთელი მსოფლიოს მშვიდობიანი მოსახლეობა... ხალხის მიზანია რაც უნდა დაუჯდეს, დაიცვას მშვიდობა. და ამ ვაჟკაცური ბრძოლის წამყვანი ძალა ქალია. ეს ასეც უნდა იყოს. სხვანაირად არც შეიძლება: დედას შვილი უყვარდეს, მის სიცოცხლეს იცავდეს — რა არის ამაზე ბუნებრივი? მშვიდობისათვის ბრძოლის გამოხატულებაა ეს პატარა კრებულიც... აქ დაბეჭდილ მასალაში კუთვნილ ჰონორარს ქართველი პატრიოტი ქალები „მშვიდობის ფონდს" უძღვნიან და უსურვებენ ქალთა მსოფლიო კონგრესს წარმატებით მუშაობას, გამარჯვებას მშვიდობისათვის დიად ბრძოლაში".

კრებულში „ღრუბლები მზეში" დაბეჭდილია ნ. აბაშიძის, ა. ალაძის, მ. ბარათაშვილის, გულნარა ბახტაძის, ნ. გვარიშვილის, ე. გოგოლაშვილის, ე. დიდიმამიშვილის, ნ. დოლიძის, თ. დონჯაშვილის, ლ. ერაძის, თ. ერისთავის, დ. ვადაჭკორიას, ნ. თარბას, ნ. იორამაშვილის, ა. კალანდაძის, ნ. კანდელაკის, მ. კახიძის, ნ. კილასონიას, მარიჯანის, მაყვალა მრევლიშვილის, ნინო ნაკაშიძის, ე. სახვაძის, ქ. ქურუკაშვილის, ნელი გაბრიჩიძის და სხვათა მოთხრობები და ლექსები, ნარკვევები.

წიგნის რედაქტორია ნ. ულენტი, მხატვრობა ეკუთვნის თ. გიგაურს.

ბრაკონიერი დაისაჯა

მახარაძე. (საქ. კორ.). შავი ზღვის სანაპიროზე, იქ, სადაც მდინარე ნატანები ზღვას ერთვის, აქოჩრილ პატარა ტყეში თითქმის ერთ წელზე მეტია დაბინავდა ბუნების საუკეთესო ექსპონატი — შველი.

მონადირეებს არაერთხელ შეხვედრიათ დაფეთებული შველი, მაგრამ მის მიმართ თოფი არავის აღუმართავს. ასე შეეჩვია იგი ადამიანებს და თავს არხეინად გრძნობდა „შეკვეთილის" ტერიტორიაზე.

მაგრამ აღმოჩნდა უგულო ადამიანი — ნატანების მცხოვრები პავლე ივანოვი, რომელიც ჩაუსაფრდა ცხოველს და როცა მარჯვე დრო იპოვნა, თოფით განგმირა უწყინარი ნადირი...

კვლევა-ძიების შემდეგ მახარაძის მონადირეთა საზოგადოების თავმჯდომარემ ვ. ჭინჭარაძემ, მონკავშირის რწმუნებულმა გ. ხალიამ რაიმილიციის მუშაკთან გ. მეგრელიძესთან ერთად მიაგნეს დამნაშავის კვალს. ბრაკონიერს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, მაგრამ მაინც უტიფრად აცხადებდა, „კაცი ხომ არ მომიკლავს".

სახალხო სასამართლომ ბრაკონიერ პ. ივანოვს ერთი წლით იძულებითი მუშაობა და 200 მანეთი ჯარიმის გადახდა მიუსაჯა.

ამბები □ ფაქტები □ ცნობები □

მოკლედ

● **ტყიბული.** (საქ. კორ.). ქალაქის ერთ-ერთი დიდი საწარმოს — ლენინის სახელობის შახტის ტერიტორიაზე ახლახან გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი აფთიაქი. იგი ძირითადად მეშახტეებს ემსახურება.

● **წყალტუბო.** (საქ. კორ.). რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი წყალტუბო ბინათმშენებლობის ხარაჩოებშია. აშენდა და ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. წელსვე საექსპლოატაციოდ გადაეცემა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ოთხსართულიანი 24-ბინიანი და სამსართულიანი სახლები.

● **საქართველოს** სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეანგინეკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა გეგეჭკორში მოაწყო გამსვლელი სარაიონთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული სესია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დასავლეთ საქართველოს 6 რაიონის სამეანო-გინეკოლოგიური დარგის სპეციალისტებმა. პედიატრებმა, სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის პროფესორებმა და მეცნიერმა მუშაკებმა.

საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორები ზ. ქორიძე, ვ. ჩახავა, დოცენტები მ. ღურღულიანი, ს. ფხაკაძე, გეგეჭკორის რაიონის წამყვანი მეან-გინეკოლოგი ვ. გეგეჭკორი და სხვ.

გ. გვაზავა.

საიმედო მესაჭე

ნავთლუღში, იმ ადგილას, სადაც კახეთის გზატკეცილი უხვევს, დილას თუ საღამოს მუდამ ბევრი ხალხია გაჩერებული. აქ თავს იყრის კახეთის მიმართულებით მიმავალი ყველა სახის ავტოტრანსპორტი.

სატვირთო ავტომანქანა ტაქსი შოფერმა შეჯგუფულ ხალხში შემოაქროლა და ჩახლეჩილი ხმით დაიძახა:

— რაღას უყურებთ, დასხედით. საითაც გინდათ, წაგიყვანთ.

მსურველი ორი თუ სამი კაცი გამოჩნდა. დანარჩენები არ განძრეულან, იდგნენ და თავისთვის საუბრობდნენ:

— იქნებ ვახტანგმა დაიგვიანოს, აქ როდემდის ვიდგეთ!

— დაგვიანება გვირჩევნია, ვიდრე მალით ვიმგზავროთ, — თქვა მეორემ. — სულ არ უწევენ ანგარიშს, რომ ადამიანები სხედან მანქანაზე. ისე დაგანჯღრევენ, ერთ კვირას აღარ ივარგებ. ვახტანგიც იმავე გზით დადის, მაგრამ ისე ფრთხილად დაჰყავს მანქანა, რომ მგზავრობას ვერ იგრძნობ. გარდა ამისა, წესიერი კაცია. რამდენი წელიწადია ამ გზაზე ვმგზავრობ და ვახტანგზე ძვირი არავისგან გამიგონია. თუ სიტყვა ჩამოვარდება, ქალი და კაცი მის შესახებ ყველა კარგს ლაპარაკობს. ასეთი უნდა იყოს ყველა შოფერი, მაგრამ...

სატვირთო ავტომანქანა ტაქსი № 81-36 გამოჩნდა. ყველამ ერთხმად იყვირა, ვახტანგი მოვიდა. მანქანას გარს შემოეხვივნენ.

მანქანის კაბინიდან სანდომიანი სახის ახალგაზრდა გადმოვიდა, ყველას თავაზიანად მიესალმა და მანქანის უკანა ბორტი გახსნა, ასასვლელი კიბე გაასწორა და მგზავრებს მიმართა:

— ჯერ ნივთები დააწყეთ, მგზავრობაში არ შეგაწუხოთ, მერე მანდილოსნები დაბრძანდით...

ერთმა ახალგაზრდამ, თითქოს შოფრის ეს სიტყვები ვერ გაიგონაო, ყუთს დაავლო ხელი, ბურთივით შეაგდო მანქანაზე და თვითონაც ყველაზე პირველი წამოხტა.

ვახტანგს სახეზე ალმურმა გადაჰკრა. შუბლზე ხელი გადაისვა და ახალგაზრდას ზრდილობიანად მიმართა:

— დედა ან და გყავს?..

— შენ არავინა გკითხავს, საქმეს მიხედე.

— ჩამოდი დაბლა, შენი დროც მოვა და დაჯდები.

ახალგაზრდა შოფრის მტკიცე მოთხოვნას დაემორჩილა, დაბლა ჩამოვიდა. ვახტანგმა ყველა მოათავსა. მანქანას გარშემო შემოუარა, მგზავრები გააფრთხილა, მივდივართო.

მანქანა მძიმედ დაიძრა. მოხუცმა კაცმა თვალი გააყოლა და მიაძახა:

— გზა მშვიდობისა, შვილო! ხიფათი გაშოროს.

— არაფერი დაემართება, ძია კაცო, — გამოეხმაურა ვიღაც, — ზედმიწევნით ფრთხილი შოფერია. თითქმის ოცი წელია მუშაობს და ერთი შენიშვნა არ მიუღია.

დავინტერესდით ამ კეთილი კაცის ვინაობით. მგზავრებისაგან შევიტყვეთ, რომ ვახტანგი საგარეჯოს ავტოსატრანსპორტო კანტორაში მუშაობს.

კანტორაში მისვლისთანავე უფროსი ვიკითხეთ და ვახტანგ ბაბილაშვილის ამბავი ვკითხეთ.

— ზოგიერთ შოფრებს სახელი აქვთ გატეხილი, — დაიწყო კანტორის უფროსმა ე. ბოლქვაძემ, — მაგრამ ვახტანგის კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების შესახებ ყველაფერი რომ გითხრათ, შეიძლება არც კი დაიჯეროთ. მისი წესიერი და პატიოსანი მუშაობის მოწმეა ხალხი, ორი ათეული წლის მანძილზე უავარიო მუშაობა.

ჩვენს კანტორაში ოთხი წლის წინათ დაიწყო მუშაობა. ზრდილობიანი ქცევით, შრომისმოყვარეობით და მტკიცე დისციპლინით მალე ყველას ყურადღება მიიქცია.

იქნებ დაგვისახელოთ ზოგიერთი ფაქტი, — სიტყვა შევაწყვეტინეთ ე. ბოლქვაძეს.

— ყველა შოფერმა კარგად იცის, რომ თუ მანქანას მოუვლის, ასიამოვნებს, თუ არა და გააწამებს. მიუხედავად ამისა, შოფრების უმრავლესობა ამას როდი აკეთებს. ვახტანგი მანქანის მოვლის წესებს ზუსტად იცავს, ამიტომ არის, რომ მისი თანამოსაქმეები ბაბილაშვილს კანონის კაცს ეძახიან. სინამდვილეში ასეც არის. რა დროც უნდა იყოს, მანქანას მოუვლელს არ დატოვებს, ყველაფერს გააკეთებს, რაც კი ინსტრუქციით არის გათვალისწინებული. ამიტომ არის, რომ ვახტანგი თავისი მანქანით ყოველთვის მეტ კილომეტრებს გადის, ვიდრე ეს საექსპლოატაციო ნორმით არის გათვალისწინებული. იმ მანქანას, რომელსაც ვახტანგი ემსახურება, უკვე გავლილი აქვს 300 ათასი კილომეტრი; ნორმით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი. ახლა მისი მანქანა ისეთ მდგომარეობაშია, რომ არ შევცდები, თუ ვიტყვი, კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად ერთ მაგდენს კიდევ გაირბენს.

— რომ დარწმუნდეთ, — განაგრძო ბოლქვაძემ, — თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მანქანის მოვლას, მოძრაობის წესების დაცვას, ისევ ვახტანგის მაგალითს მოგიყვანთ. შოფრებს ახალ საბურავებს რომ მივცემთ, ჯერ ნორმაც არა აქვთ გავლილი და ყველანი ახმაურდებიან, საბურავები გაცვთა, მეტი სიარული აღარ შეიძლებაო. ამ დროს ვახტანგის მანქანის საბურავები კიდევ ახლად გამოიყურება. ასევეა სავალ ნაწილებზე. ბენზინის ეკონომიაც ყველაზე მეტი აქვს.

კანტორაში არსებული მასალებით გამოირკვა, რომ ბაბილაშვილი კანტორის მძღოლთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყოველთვის პირველ ადგილზე გამოდის.

დიდი ხნის განმავლობაში უავარიო მუშაობისათვის, გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და სანიმუშო დისციპლინისათვის საქართველოს კავშირგაბმულობისა და ავტოტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1962 წლის მარტის დადგენილებით ვახტანგ ბაბილაშვილს მინიჭებული აქვს „ფრიადოსანი მძღოლის" წოდება.

1962 წლის გეგმების დიდი გადაჭარბებით შესრულებისათვის, სანიმუშო დისციპლინისათვის ავტოსატრანსპორტო კანტორის ხელმძღვანელობამ იგი საპატიო წიგნში შეიტანა და ქების სიგელი გადასცა.

ვახტანგი კვლავ ენერგიულად იბრძვის პირველობისათვის და შრომაში თავისზე წინ არავის უშვებს. 1963 წლის პირველი კვარტალის გეგმა 145,7 პროცენტით გაანაღდა და სოციალისტურ შეჯიბრებაში კვლავ პირველი ადგილი დაიკავა.

1945 წელს ვ. ბაბილაშვილმა დაამთავრა საშუალო სკოლა. სიმწიფის ატესტატით ექვსთვიან საშოფრო კურსებს მიაკითხა. ახალგაზრდამ მასწავლებლებისა და სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო. ყველას აკვირვებდა მანქანის ათვისების სწრაფი უნარით. კურსები წარჩინებით დაამთავრა და მუშაობა დაიწყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე შოფრად. მას შემდეგ თითქმის ორი ათეული წელი გავიდა. უბრალო შემთხვევაც არ ახსოვს ვ. ბაბილაშვილს. სადაც იმუშავა, პატიოსანი შრომით, წესიერი კაცობით მთელი კოლექტივის სიყვარული დაიმსახურა.

ვ. ბაბილაშვილი არა მარტო კარგი მუშაა, არამედ კარგი მამაც არის, აქვს ძვირფასი ოჯახი, ჰყავს სამი შვილი — ორი გოგო და ერთი ბიჭი.

მუდამ მშვიდობის გზით გევლოს, გამრჯელო, კეთილო ადამიანო!

ზ. ჯამასპიშვილი,

მეტალურგები კურორტებზე

ზესტაფონი. (საქ. კორ.). ნაყოფიერად შრომობენ ზესტაფონელი მეტალურგები. მათ ათას ტონობით ზეგეგმითი ძვირფასი შენადნობი მისცეს სამშობლოს და მილიონობით კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგეს. თავდადებული შრომის შემდეგ ბევრი მეტალურგი ახლა ისვენებს. წელს ასობით მეტალურგი ჩვენი სამშობლოს საუკეთესო კურორტებზე გაემგზავრება.

ზესტაფონელ მეტალურგთა ჯგუფი ტურისტული საგზურით პოლონეთში იმყოფება. ისინი ისვენებენ და ეცნობიან პოლონეთის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ქართველ კომპოზიტორთა სტუმარი

თბილისში ოთხ დღეს იმყოფებოდა სტუმრად ნიუ-იორკის შტატის უნივერსიტეტის მუსიკის პროფესორის ასისტენტი და გუნდის ხელმძღვანელი რობერტ ბიქსვითი. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში იგი გაეცნო ქართული ხალხური მუსიკის ნიმუშებს — „ოდოიას", „ლილეს", „ხასანბეგურას", „ჩაკრულოს" და სხვებს. ამერიკელმა მუსიკოსმა მოუსმინა კონსერვატორიის ვოკალური ანსამბლის მიერ შესრულებულ უნიკალურ საგალობლებს და ჩაიწერა ისინი.

— ქართული ხალხური მუსიკა საოცარია, უნიკალური, მაღალპროფესიული, — თქვა რობერტ ბიქსვითმა.

ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში ამერიკელი სტუმარი გაეცნო ხალხური სიმღერების ადგილობრივ შემსრულებლებს, ჩაიწერა რამდენიმე მათგანი. კომპოზიტორები ა. მაჭავარიანი, დ. თორაძე, ს. ნასიძე, ს. ცინცაძე და სხვები შეხვდნენ ამერიკელ მუსიკის მოღვაწეს. პროფესორმა პ. ხუჭუამ გააცნო მას ქართული საბჭოთა მუსიკის განვითარების გზები. ქართველმა კოლეგებმა სტუმარს საჩუქრად მიუძღვნეს ხალხური სიმღერების კრებულები და თავიანთი ნაწარმოებები.

რობერტ ბიქსვითმა ერევანში გამგზავრების წინ თქვა, რომ იგი თავისი გუნდის რეპერტუარში შეიტანს ბევრ ქართულ ხალხურ სიმღერას, საკონცერტო პროგრამას დაარქმევს „ქართულ სიუიტას". (საქდესი).

კომუნისტი სპორტი

რვა მონაწილე ცნობილია

გუშინ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების უკანასკნელი მერვედფინალური ასპარეზობა ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამოსა" და ყარაგანდის „შახტიორის" გუნდები. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 2:1.

ამრიგად, მეოთხედფინალის რვავე მონაწილე ცნობილია. ესენი არიან — მოსკოვის „დინამოსა" და „სპარტაკის", დონეცკის „შახტიორის", ლენინგრადისა და მინსკის „დინამოს", ალმა-ატის „კაირატის", კიშინიოვის „მოლდოვასა" და ხაბაროვსკის არმიის სასპორტო კლუბის გუნდები.

მეოთხედფინალური მატჩები შედგება 16 ივლისს. ერთმანეთს შეხვდებიან „კაირატი" (ალმა-ატა) — „მოლდოვა" (კიშინიოვი), „შახტიორი" (დონეცკი) — არმიის სასპორტო კლუბის გუნდი (ხაბაროვსკი), „დინამო" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (მოსკოვი), „დინამო" (მინსკი) — „დინამო" (მოსკოვი).

ცვლილებები კალენდარში

სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების მზადებასთან დაკავშირებით ნაწილობრივ შეიცვალა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარი ფეხბურთში.

მოსკოვის „ლოკომოტივისა" და თბილისის „დინამოს", აგრეთვე კიევის „დინამოსა" და ერევნის „არარატის", ხარკოვის „ავანგარდისა" და ალმა-ატის „კაირატის", ლენინგრადის „ზენიტისა" და დონის როსტოვის სკა-ს, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა" და მოსკოვის „ტორპედოს" გუნდების შეხვედრები 3 ივლისიდან გადატანილია 3 აგვისტოსათვის, ხოლო მოსკოვის „სპარტაკი" და ცსკა 2 ივლისის ნაცვლად ერთმანეთს შეხვდებიან 4 აგვისტოს.

თ. კიკიანი — ნახევარფინალში

რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა მატჩი საქართველოს პირველობის პრიზიორთა ოსტატობის კანდიდატების თ. კიკიანსა და მ. თხელიძეს შორის. გამარჯვებული უფლებას იღებდა ეთამაშა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალში. ჩემპიონატის კიდევ ერთმა პრიზიორმა ოსტატობის კანდიდატმა რ. ჯინჯიხაშვილმა, რომელმაც თ. კიკიანსა და მ. თხელიძესთან ერთად გაიყო 2-4 ადგილები დამატებით ასპარეზობაში ვერ შეძლო მონაწილეობის მიღება.

კიკიან-თხელიძის მატჩი 6 პარტიისაგან შედგებოდა და დამთავრდა თ. კიკიანის გამარჯვებით ანგარიშით 4:2.

ტ. პეტროსიანისა და პ. კერესის გამგზავრება

მოსკოვი, 29 ივნისი. (საკდესი). მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ტიგრან პეტროსიანი და გროსმაისტერი პაულ კერესი დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრნენ. საბჭოთა მოჭადრაკეები მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც 2 ივლისს დაიწყება ლოს-ანჯელოსში (კალიფორნია).

ეს მსოფლიოს ახალი ჩემპიონის პირველი გამგზავრებაა საზღვარგარეთ მიხეილ ბოტვინიკთან ამასწინანდელ მატჩში გამარჯვების შემდეგ. ლოს-ანჯელოსის „რვა გროსმაისტერის" ტურნირში, გარდა ორი საბჭოთა მოჭადრაკისა გამოვლენ ამერიკელები სამუელ რეშევსკი და პალ ბენკო, სვეტოზარ გლიგორიჩი (იუგოსლავია), მიგუელ ნაიდორფი და ოსკარ პანო (არგენტინა) და ფრედერიკ ოლაფსონი (ისლანდია). მოწინააღმდეგენი ორ-ორ პარტიას გაითამაშებენ.

— თავს კარგად ვგრძნობ, რადგან მოვასწარი დასვენება და, როგორც იტყვიან, მოსულიერება მსოფლიო პირველობაზე დამქანცველი მატჩის შემდეგ. — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ტიგრან პეტროსიანმა. — ლოს-ანჯელოსის ტურნირი პირველი დიდი შეჯიბრება იქნება, რომელშიც შევეცდები უწინარეს ყოვლისა ყურადღება მივაქციო საჭადრაკო ხელოვნების შემოქმედებით მხარესა და სილამაზეს.

უცხოეთის ფეხბურთის მოედნებზე

☐ **როგორც** ცნობილია სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს პირველი ოფიციალური შესარჩევი შეხვედრა ექნება ფინეთის გუნდთან. ფინელები ამ მატჩისათვის ენერგიულად ემზადებიან. ჰელსინკში მათ ჩაატარეს შეჯიბრება ნორვეგიის გუნდთან და დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 2:0.

☐ **ბრაზილიის** ცნობილი საკლუბო გუნდი „სანტოსი" კვლავ წარუმატებლად გამოდის იტალიაში. მორიგი მატჩი ბრაზილიელებს ჰქონდათ ტურინში „იუვენტუსის" წინააღმდეგ და დამარცხდნენ 3:5. სამი ბურთი „სანტოსის" კარში გაიტანა სივორმა.

რ. მ. ჯაფარიძე



ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი რაჟდენ მინას-ძე ჯაფარიძე.

რ. მ. ჯაფარიძე დაიბადა 1907 წელს სოფელ სევაში (ონის რაიონი). შრომითი მოღვაწეობა დაიწყო 1930 წელს გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტის ზემო სვანეთის გეოლოგიურ-საძიებო პარტიაში.

1931 წლიდან 1942 წლამდე რ. მ. ჯაფარიძე მუშაობდა საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს გეოლოგიურ-საძიებო პარტიებსა და ექსპედიციებში სხვადასხვა თანამდებობებზე. 1943-1948 წლებში „საქოქროს" კომბინატის მთავარი ინჟინერია.

1948-1957 წლებში იგი ახალციხის ქვანახშირის შახტების სამმართველოს უფროსია, ხოლო შემდეგ „კავკასიის ნახშირძიების" ტრესტის მთავარი ინჟინერი და „საქფერადლითონძიების" ტრესტის მმართველი. 1957 წელს რ. მ. ჯაფარიძე ინიშნება საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტ „საქნახშირმადნეულძიების" მმართველად.

1942 წლიდან რ. მ. ჯაფარიძე სკკპ წევრია.

რ. მ. ჯაფარიძე შრომისმოყვარეობით, თავმდაბლობით და საქმის ღრმა ცოდნით გამოირჩეოდა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს რ. მ. ჯაფარიძის დამსახურება და იგი დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

1961 წელს რ. მ. ჯაფარიძეს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება.

რაჟდენ მინას-ძე ჯაფარიძის ნათელი სახელი, როგორც თავმდაბალი, გულისხმიერი და შრომისმოყვარე ადამიანისა, დარჩება მეგობრებისა და ამხანაგების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო;
საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება;
საქართველოს სამთო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

30 ივნისი

რუსთაველის სახელობის — ამირანი (დღისით, მე-5 აბონ. მე-7 წარმოდგენა, საღამოს სეზონის დახურვა 22-ე აბონ. მე-7 წარმოდგენა), მარჯანიშვილის სახელობის — რომეო და ჯულიეტა (მე-3 აბონ. მე-7 წარმოდგენა), გრიბოედოვის სახელობის — ჩვეულებრივი სასწაული (დღისით და საღამოს), სანკულტურის — ვაზისუბნელი ძმაკაცები (მე-16 აბონ. მე-2 წარმოდგენა), ფილარმონიის საზაფხულო — ვოლგოგრადის მსახიობთა კონცერტი ინსტრუმენტული ანსამბლის თანხლებით, სპორტის სასახლე — საესტრადო ვოკალურ-ინსტრუმენტული კვარტეტი მარინო მარინის მონაწილეობით (იტალია). დასაწყისი დღის 1 ს. და საღამოს 8 ს.

ტელევიზია

30 ივნისი

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 12.20 — მხატვრული ფილმი „მიშკა, სერიოჟა და მე", 14.00 — ქართული ენის გაკვეთილი, 14.30 — რუსული ენის გაკვეთილი, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.30 — საერთაშორისო მიმოხილვა, 18.45 — კინოჟურნალი, 18.55 — გადაცემა — „საბჭოთა ახალგაზრდობას ზეიმი", 19.30 სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი „ოქრომპირი", 20.10 — საესტრადო გადაცემა — „როცა შინ ვრჩებით".

1 ივლისი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — ახალი ამბები, 18.15— დოკუმენტური ფილმი „ცხოვრების ნაბიჯები", 19.05 — გადაცემა ციკლიდან „ახალი წიგნები", 19.30 — კინონარკვევი, 20.00 — გადაცემა — „შენ ხარ ვენახი", 20.40 — მხატვრული ფილმი „ამბავი ერთი ქალიშვილისა", 22.15 — ახალი ამბები.

კინო

30 ივნისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, კოლხიდა (საზამთრო), კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო). გაზაფხული — მივემგზავრებოდით, ოქტომბერი, ისანი (საზამთრო), ამირანი (საზაფხულო), სპარტაკი, საქართველო (წითელი დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), კოსმოსი — ოქროს კბილი, თბილისი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), ნაკადული, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — თოჯინები იცინიან, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), ოფიცერთა სახლი, დიდუბე (საზამთრო), ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — ხვალ შემოიარეთ, საქართველო (მწვანე დარბაზი) — ყველასათვის საყვარელი № 13, თანამგზავრი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, დიდუბე (საზაფხულო), ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, მზიური — მოკითხვამდე.

რადიო

1 ივლისი

პირველი პროგრამით

06.40 — შ. თაქთაქიშვილის კამერული ნაწარმოებები, 08.10 — კონცერტი „დიდია ჩემი ქვეყანა", 09.20 — ს. ტანეევი. სიმფონია დო-მინორი, 11.15 — კონცერტი ო. გორდელის ნაწარმოებებიდან. 12.10—საუბარი: „დიდმნიშვნელოვანი მოვლენა პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში", 12.25 — კონცერტი კამერული მუსიკის მოყვარულთათვის, 13.40 — ლატვიის სახალხო მეურნეობის საბჭოს ვაჟთა გუნდის კონცერტი, 17.15 — ნაწყვეტები ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტედან", 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.10 — თბილისის თვითმოქმედი ანსამბლებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების კონცერტი, 18.45 — აბუ-ბაკრ ხაირატის საფორტეპიანო ნაწარმოებები, 19.30 — „კორესპონდენტთა საგუშაგოები გვატყობინებენ", 20.15 — „ძილისპირული", 20.30 — მ. ფარცხალაძე. კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 21.00 — გადაცემა „რუსთაველის სახელობის თეატრი დღეს", 21.40 — კონცერტი, 23.30 — გასართობი მუსიკა.

რედაქტორის მოადგილე
ვ. ვარდოსანიძე.

კომუნისტი Комунисти
ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 8-08-67 პ/მ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 8-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61 მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-24, საილუსტრაციო — 8-20-43, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

უე 05979